ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

*დანართი №5*

# ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ - გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალი სამგორის საჯარო სკოლა

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

თავმჯდომარე: **ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილი**

**წევრები:**

ქეთევან რეხვიაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი);
თამარ ჩხიკვაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, )
ელენე ოგბაიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);
ინგა ჯაფარიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი);
ლეილა ხელისუფალი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი);
მაია სიხარულიძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი);
თეა გაბისონია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი);
ჯულიეტა ტაბეშაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი);
საბა დარსაველიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი);
ნინო ჭანტურიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი)

# ნაწილი I. შესავალი

## I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| ინფორმაცია დაწესებულების შესახებ | |
|---|---|
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება | სსიპ - გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალი სამგორის საჯარო სკოლა |
| ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა | საჯარო სამართლის იურიდიული პირი |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი | 226530297 |

## II. საკონტაქტო ინფორმაცია

| საკონტაქტო ინფორმაცია | |
|---|---|
| მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი) | გარდაბნის მუნიციპალიტეტი სოფელი ახალი სამგორი |
| ფაქტობრივი მისამართი | გარდაბნის მუნიცილაპიტეტი, სოფელი ახალი სამგორი,<br>აკ. წერეთლის ქ N2 |
| საფოსტო ინდექსი | 1300 |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი | https://skolebi.emis.ge/schools/2011 |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა | AkhaliSamgori@mes.gov.ge |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი | 577 97 05 32 |

## III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

| | |
|---|---|
| ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი) | MES 9 25 0000795916; 01.07.2025 |

| | |
|---|---|
| ვიზიტის პერიოდი (თარიღი) | 29 ,30 ივლისი |

## IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

***„ზოგადი განათლების შესახებ“*** საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

| N | **ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება** | **ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური** | **ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა** | **სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით) |
|---|---|---|---|---|
| 1. | ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა; | დაწყებითი საგანმანათლებლო საფეხური | ქართული ენა | გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფელი ახალი სამგორი, აკ. წერეთლის ქ. N2 – 1 შენობა-ნაგებობა |
| 2. | ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა; | საბაზო საგანმანათლებლო საფეხური | ქართული ენა | გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფელი ახალი სამგორი, აკ. წერეთლის ქ. N2 – 1 შენობა-ნაგებობა |
| 3. | ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა; | საშუალო საგანმანათლებლო საფეხური | ქართული ენა | გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფელი ახალი სამგორი, აკ. წერეთლის ქ. N2 – 1 შენობა-ნაგებობა |

## V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

*მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.*

*მიმდინარე წლის 29-30 ივლისს შედგა სსიპ - გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალი სამგორის საჯარო სკოლაში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტების ჯგუფის ვიზიტი. ვიზიტის ფარგლებში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებით“ განსაზღვრული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის შესრულების შემოწმება განხორციელდა.*

*ექსპერტების ჯგუფმა ვიზიტის ეფექტიანი წარმართვისთვის შეიმუშავა დღის წესრიგი და შესამოწმებელ დოკუმენტთა სავარაუდო ნუსხა, რომელიც დაწესებულებას გადაეგზავნა ვიზიტამდე.*

*ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობა განისაზღვრა: ორი ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტით (ადგილზე ვიზიტი), რომელთაგან ერთი თავმჯდომარეობდა ჯგუფს და საგნობრივი ჯგუფის ექსპერტებით.*

*დაწესებულებაში ვიზიტის დროს ექსპერტები გაესაუბრნენ სკოლის წარმომადგენელებს- სკოლის დირექტორს, საქმისმწარმოებელს, სკოლის ბიბლიოთეკარს, ექიმს და სხვა პირებს. ინტერვიუ შედგა სკოლის მასწავლებლებთან.*

*ვიზიტი განხორციელდა პირისპირ ფორმატში, ხოლო ყველა საგნობრივ ექსპერტს დისტანციურ რეჟიმში ჰქონდათ შესაძლებლობა ჩაეტარებინათ ინტერვიუები მასწავლებლებთან.*

*საგნობრივი ექსპერტების მხრიდან განხორციელდა ყველა ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საგნობრივი კურიკულუმების შეფასება , რომლის დროსაც დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის რევიზიაში ჩართული იყო დაწყებითი საფეხურის ექსპერტი.ვიზიტი წარიმართა თანამშრომლობით გარემოში, დაწესებულებამ ხელი შეუწყო ექსპერტების საქმიანობის განხორციელებას და უზრუნველყო გარკვეული მტკიცებულებების წარმოდგენა, ექსპერტების მიერ გაიცა რჩევები, წარმოების ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტების ანალიზისა და ინტერვიუების შედეგად ჩამოყალიბებული მიგნებები გაცნობილი იქნა დაწესებულების წარმომადგენლებისთვის ვიზიტის დასასრულს.*

## VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

*ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.*

| წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა | აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა | ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა |
|---|---|---|
| | | |

## VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

# ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

## I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

| სტანდარტი/კომპონენტი | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სტანდარტი 1**<br>სკოლის ფილოსოფია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 1.1**<br>სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 1.2**<br>სკოლის დაგეგმვა და განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **სტანდარტი 3**<br>სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.1**<br>პერსონალის მართვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.2**<br>პერსონალის განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება |

| | |
|---|---|
| | ☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.3**<br>პროცესების მართვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.4**<br>ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.5**<br>მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.6**<br>საინფორმაციო რესურსები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.7**<br>ფინანსური რესურსები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **სტანდარტი 4**<br>**მოსწავლეთა მხარდაჭერა** | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 4.1** | ☒ შეესაბამება |

| | |
|---|---|
| მოსწავლეთა უფლებების დაცვა | ☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 4.2**<br>მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

| მოსწავლეთა რაოდენობა: 350 | ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒ | აღწერა<br>*(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)* |
|---|---|---|
| | ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐ | |

## III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.*

| *სტანდარტი N1* | სკოლის ფილოსოფია | *ხარვეზი* |
|---|---|---|

| სტანდარტი N3 | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | ხარვეზი |
|---|---|---|
| | | |
| | | |
| სტანდარტი N4 | მოსწავლეთა მხარდაჭერა | ხარვეზი |

| სტანდარტი N2 | სასკოლო კურიკულუმი *(ასეთი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)* | ხარვეზი |
|---|---|---|

## IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)*[1]

| სტანდარტი N1 | სკოლის ფილოსოფია | სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია |
|---|---|---|
| სტანდარტი N3 | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია |
| ინდ. 3.4.1.1. | სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან | დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრული სკოლის შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მიღება და საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება 27.08.2026 წლამდე. |

[1] გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

| | | |
|---|---|---|
| | შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში); | |
| N 3.4.1.2 | სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას | დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის შესაბამისად 27.08.2026 წლამდე უზრუნველყოს სამედიცინო პერსონალის (ექიმი/ ექთან დასაქმება. |
| | | |
| | | |
| სტანდარტი N4 | მოსწავლეთა მხარდაჭერა | სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია |

| | | |
|---|---|---|
| სტანდარტი N2 | სასკოლო კურიკულუმი<br>(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება) | სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია |

## V. რჩევა

*გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.*

| | | |
|---|---|---|
| სტანდარტი N1 | სკოლის ფილოსოფია | რჩევა |

| | | |
|---|---|---|
| *ინდიკატორი 1.2.1.4* | *სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია* | *დაწესებულებამ სამოქმედო გეგმაში ჩამოაყალიბოს აქტივობის შესრულების გაზომვადი ინდიკატორის ფორმულირებით.* |
| *სტანდარტი N3* | **სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა** | *რჩევა* |
| *ინდიკატორი N.* **3.4.1.1** | სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/ პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობანაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური | *სასურველია ჰყავდეს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.* |

| | | |
|---|---|---|
| | (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში) | |
| *3.5.1.3* | *სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით* | *სკოლას მიეცა რჩევა გაამდიდროს მხატვრული ლიტერატურით და მეტად ფუნქციური გახადოს სკოლის ბიბლიოთეკა.* |
| *3.4.1.6.* | *სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას* | *დაწესებულებას მიეცა რჩევა კანონმდებლობით რეგისტრირებული პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის დასაქმების შესახებ.* |
| *სტანდარტი N4* | მოსწავლეთა მხარდაჭერ | *რჩევა* |

| | | |
|---|---|---|
| *სტანდარტი N2* | *სასკოლო კურიკულუმი*<br>*დაწყებითი საბაზო, საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *რჩევა* |
| ***ინდიკატორი N2.1.2.1***<br><br>***შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლე ორიენტირებული პროცესისი დაგეგმვისა განვითარების გზას*** | *დაწყებითი, საბაზო, საშუალო* | ***რჩევა:*** *ეროვნულ სასწავლო გეგმაში შუალედური მიზანი კომპლექსური დავალება ჩანაცვლებულია შუალედური მიზნის მისაწევი შემოქმედებითი დავალებით. სახელმძღვანელოები გრიფირებულია და მასში წარმოდგენილი სხვადასხვა ტიპის დავალებები ხელს უწყობს სამიზნე ცნებებზე გასვლას. ამიტომ კურიკულუმის ჩარჩოებში კომპლექსური დავალების გრაფა ჩანაცვლდეს შუალედური შემოქმედებითი დავალებით. შესაბამისად, შესაძლებელი იქნება სხვადასხვა ტიპის შემოქმედებითი დავალებების ჩაწერა იმ საკითხებთან, რომლებზეც არ არის მოცემული კომპლექსური დავალება. კურიკულუმის მონახაზი უფრო მრავლისმთქმელი გახდება, რაც საბოლოო ჯამში, ხელს შეუწყობს მოსწავლეების მრავალმხრივ განვითარებას.*<br><br>***საბუნებისმეტყველო საგნების*** *კურუკულუმის ჩარჩოებში მიუთითეთ დაახლოებითი საათობრივი დატვირთვა. ეს დაეხმარება მასწავლებელს, რომ დრო ეფექტურად გადაანაწილოს სავალდებულო თემების შესასწავლად. ასევე მიუთითეთ გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო.* |

| | | |
|---|---|---|
| | | *მე-7 კლასის **ფიზიკის** კურიკულუმის ჩარჩოში თემად მითითებული "შესავალი" ნამდვილად არის სახელმძღვანელოს პირველი თავი და ის ემსახურება მოსწავლეების მომზადებას სავალდებულო თემების შესასწავლად. მაგრამ კურიკულუმის ჩარჩოში ის არ უნდა იყოს მითითებული სავალდებულო თემების გრაფაში. შესაძლებელია, რომ როგორც ერთი შესასწავლი საკითხი დაემატოს რომელიმე თემას.* |
| ***ინდიკატორი N2.1.2.1*** <br><br> ***შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას*** | *დაწყებითი, საბაზო, საშუალო* | ***1*** *- სამივე საფეხურის კურიკულუმები სასურველია გაიმართოს ვიზუალურად. კერძოდ, ზედმეტი სვეტები და გვერდის მაშტაბები მოწესრიგდეს იმგვარად, რომ კურიკულუმი გახდეს მეტად აღქმადი.* <br><br> *2 - სამივე საფეხურზე - სასურველია სასწავლო თემა "ლაშქრობა" აქტივობებით დამუშავდეს იმგვარად, რომ მოსწავლეები არა მხოლოდ პრეზენტაციას ამზადებდნენ აღნიშნულ თემაზე, არამედ ფიზიკურადაც მონაწილეობდნენ მათთვის შესაფერის ლაშქრობაში/ლაშქრობებში.* |
| ***ინდიკატორი N2.1.2.1.*** <br><br> ***შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას*** | *დაწყებითი, საბაზო, საშუალო* | ***რჩევა:*** *ყველა კლასის კურიკულუმში მიზანშეწონილია დაემატოს პრაქტიკული, რეალურ ცხოვრებაზე მიბმული აქტივობები, სადაც მოსწავლე თავად გეგმავს, წარადგენს და აფასებს შედეგს (მაგ: ბიუჯეტის შედგენა, გამოფენის მოწყობა, პროექტის წარდგენა თანაკლასელების წინაშე).* <br> *გარდა ამისა, საჭიროა **ტექნიკური ერთიანობის უზრუნველყოფა**: დაინერგოს სამივე საფეხურზე საერთო სტანდარტი კურიკულუმებში სვეტების სათაურებისთვის, ცხრილების ფორმატისთვის და ტექსტის სიდიდისთვის. ეს ხელს შეუწყობს უკეთეს აღქმას და სკოლაში კურიკულუმების თანხვედრას.* <br><br> ***რჩევა:1*** *- სამივე საფეხურის კურიკულუმები სასურველია გაიმართოს ვიზუალურად. კერძოდ, ზედმეტი სვეტები და გვერდის მაშტაბები მოწესრიგდეს იმგვარად, რომ კურიკულუმი გახდეს მეტად აღქმადი.* ***2*** *- სამივე საფეხურზე - სასურველია სასწავლო თემა "ლაშქრობა" აქტივობებით დამუშავდეს იმგვარად, რომ მოსწავლეები არა მხოლოდ პრეზენტაციას ამზადებდნენ აღნიშნულ თემაზე, არამედ ფიზიკურადაც მონაწილეობდნენ მათთვის შესაფერის ლაშქრობაში/ლაშქრობებში.* |
| ***ინდიკატორიN 2.1.2.2.*** <br><br> ***კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს*** | *დაწყებითი, საბაზო, საშუალო* | ***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები-*** *უფრო ეფექტური რომ იყოს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევა შუალედური მიზანი კომპლექსური დავალების გარდა გამოიყენონ სხვადასხვა ტიპის შემოქმედებითი დავალებები. ამის საშუალებას კი გრიფირებულ სახელმძღვანელოებში წარმოდგენილი მრავალფეროვანი დავალებები იძლევა. შესაბამისად კურიკულუმის მონახაზი უფრო მრავლფეროვანი გახდება, რადგან ყველა შესასწავლი თემის და საკითხების ათვისების საშუალება დაისახება. რაც საბოლოო ჯამში ხელს შეუწყობს რომ კურიკულუმი მიემართებოდეს დასახულ მიზნებს.* |

| | | |
|---|---|---|
| *ინდიკატორი* N 2.1.2. 2<br><br>*კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს* | *დაწყებითი, საბაზო, საშუალო* | *საზოგადოებრივი მეცნიერებები -კარგი იქნება თუ მომავალში გაითვალისწინებენ და გამოყოფენ შემოქმედებითი ბუნების დავალებას რომელ საკითხთან მიმართებაში ხორციელდება, რომელ სამიზნე ცნებე[ბს] და ქვეცნებებს ფარავს. ასევე საკითხების კლასტერს თუ გააკეთებთ სამიზნე ცნებების მიხედვით.* |
| *ინდიკატორი* N 2.1.2. 2<br><br>*კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს* | *დაწყებითი, საბაზო, საშუალო* | *სახელმწიფო ენა* - ***რჩევა:*** *კურიკულუმის ჩარჩოშიც ყველა თემისთვის განისაზღვროს დასამუშავებელი ცნებებ[ი] , ქვეცნებები და საკითხები; ასევე ასევე, მერვე კლასის ისგ-ში არის ცდომილებები და სასურველია, კათედრა[მ] გაითვალისწინოს სამომავლოდ, მაგალითად, არასწორად წერია სამიზნე ცნებები,საბაზო საფეხურზე არ გვაქვს ცნება ზეპირმეტყველება, წერა..კათედრის წევრებმა ისარგებლონ ეროვნული სასწავლო გეგმით და შეავსონ შესაბამისად.* |
| *ინდიკატორი* N 2.1.2. 2<br><br>*კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს* | *დაწყებითი, საბაზო, საშუალო* | *მათემატიკა- რეკომენდებულია სამივე საფეხურის კურიკულუმში დავალებების გამრავალფეროვნება, რათა გაძლიერდეს მიზნის, აქტივობისა და სასწავლო შედეგის პირდაპირი კავშირი და სწავლება გახდეს მოსწავლისთვის მეტად მოტივაციური და კონტექსტზე დაფუძნებული.* |
| *ინდიკატორი* N 2.1.2. 3<br><br>*კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის, საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას* | *დაწყებითი, საბაზო, საშუალო* | *ვინაიდან კურიკულუმის ჩარჩოებში მოცემულია მხოლოდ კომპლექსური დავალებები, ზოგიერთი საკითხის დამუშავების გზა ცარიელია. შესაბამისად, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნე, დაამატონ შემოქმედებითი დავალებები, რაც რესურსებით უფრო მრავალფეროვანს გახდის კურიკულუმის ჩარჩოს და ხელს შეუწყობს სწავლის შედეგების მიღწევას. კურიკულუმის ჩარჩოებშიც ცხრილის თავში მიეთითოს გამოყენებული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო. პერიოდულად გადაამოწმონ მითითებული ელ. რესურსების მისამართები, რადგან ზოგიერთი არ გაიხსნა. მე-12 კლასის ფიზიკის კურიკულუმის ჩარჩოში რესურსების გრაფაში დაამატონ გამოსაყენებელი რესურსები.*<br><br>*სახელმწიფო ენა-კურიკულომის ჩარჩოშიც ყველა კლასისთვის მიეთითოს ძირითადი სახელმძღვანელო. მათემატიკა- სასურველია რესურსების მითითების ერთიანი სტილის ჩამოყალიბება სამივე საფეხურზე და მათი დაკონკრეტება თემა-საკითხის მიხედვით (მაგ. გრიფირებული სახელმძღვანელოს ავტორი, ხანის აკადემიის ვიდეო: URL მისამართი; თემა – სამკუთხედების მსგავსება და ა.შ.).* |

| | | |
|---|---|---|
| ***ინდიკატორი* N 2.1.2. 4**<br><br>***სასწავლო პროცესი არ ინკლუზიური ჲ ითვალისწინებს დიფერენცირებულ მოთხოვნებს*** | *დაწყებითი, საბაზო, საშუალო* | ***მუსიკასა და ხელოვნებაში*** *ინდ. გეგმები იმდაგვარად იყოს გაწერილი, რომ ორიენტირებული იყოს სასწავლო თემებსა და ცნებებთან მიმართებაში.*<br><br>*სახელმწიფო ენა- შუალედურ მიზნებზე მუშაობის დროს გაითვალისწინონ, რომ მისცენ მოსწავლეებს არჩევანის შესაძლებლობა, მათი შესაძლებლობების, ინტერესების გათვალისწინება ხელს შეუწყობს მათ პროგრესს.*<br><br>*სასურველია ყველა კლასის კურიკულუმში ან თანმხლებ დოკუენტებში გაიწეროს კონკრეტული მაგალითები დიფერენცირებული სწავლების - სირთულის დონის, თემის მიწოდების ფორმის ან დროის მართვის მიხედვით* |
| ***ინდიკატორი* N 2.1.2.5**<br><br>***მოსწავლის შეფასებ სისტემა შეესაბამე ეროვნული სასწავლ გეგმით განსაზღვრუ პრინციპებს, მიზნებსა ჲ ამოცანებს*** | *დაწყებითი, საბაზო, საშუალო* | ***საბუნებისმეტყველო*** *კათედრის სამივე საგნის პედაგოგებმა ერთი პრინციპით შექმნან და დანერგოს სამივე საფეხურზე განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელთა კრიტერიუმები შესაბამისობაში იქნება სამიზნე ცნებებთან.*<br><br>***სახელმწიფო ენა-*** *გააგრძელონ მუშაობა შეფასების რუბრიკებზე და შეიმუშაონ ყველა საფეხურზე კონკრეტულ დავალების/ აქტივობის შესაბამისი შეფასების რუბრიკები, რომლებშიც დაკონკრეტდება შედეგების მიღწევის ინდიკატორები სამიზნე ცნებების მიხედვით.*<br><br>*მათემატიკა-სკოლამ შეიმუშაოს და დანერგოს სამივე საფეხურზე თემების მიხედვით დაკონკრეტებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, ასევე კრიტერიუმები საკლასო აქტივობებისა დ საშინაო დავალებების შეფასებისთვის. ეს გააძლიერებს შეფასების სისტემის გამჭვირვალობას, უზრუნველყოფს ერთიანი სტანდარტის დაცვას და დაეხმარება მოსწავლეებს წინასწარ იცოდნენ, რა კრიტერიუმებით ფასდება მათი ყოველდღიური სწავლა.* |
| ***ინდიკატორი* N 2.2.1.3**<br><br>***შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი*** | *დაწყებითი, საბაზო, საშუალო* | *საბუნებისმეტყველო- მასწავლებლებს შეუძლიათ გამოიყენონ ზოგადი შეფასების სქემები: კვლევის, პრეზენტაციის, ინფორმაციის მოძიების. თუმცა ის უნდა უკავშირდებოდეს სამიზნე ცნებებს და კრიტრიუმებ წარმოდგენილი უნდა იყოს საკითხთან მიმართებაში.*<br><br>*სკოლამ შეიმუშაოს შეფასების რუბრიკები ყველა იმ თემისთვის, რომელიც გაწერილია კურიკულუმებში, რათა უზრუნველყოფილი იყოს ერთიანი მიდგომა სხვადასხვა სასწავლო მასალაზე მუშაობისას. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების სრულყოფას, მათ შორის ქულათა განაწილების მკაფიო და თანმიმდევრულ პრინციპებს.* |
| ***ინდიკატორი* N 2.2.2.1.** | *დაწყებითი, საბაზო, საშუალო* | *საბუნებისმეტყველო მეცნიერებები-ვინაიდან კურიკულუმის ჩარჩოებში მოცემულია მხოლოდ კომპლექსურ დავალებები, ზოგიერთი საკითხის დამუშავების გზა ცარიელია. შესაბამისად როგორც უკვე ზემოთ აღვნიშ* |

| | | |
|---|---|---|
| *კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში* | | *დაამატონ შემოქმედებითი დავალებები, რაც რესურსებით უფრო მრავალფეროვანს გახდის კურიკულუმ ჩარჩოს და ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესის ეფექტურ წარმართვას.* |
| ***N2.2.2.2სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლ რესურსის ვალიდაციას*** | *დაწყებითი, საბაზო, საშუალო* | *საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- სკოლის კურიკულუმში ან ცალკე დოკუმენტში აღიწეროს, როგორ ხდება დამატებითი რესურსების შერჩევა და მისი ვალიდაცია.*<br><br>*მათემატიკა- სკოლის სასწავლო გეგმაში მიეთითოს ან ცალკე დოკუმენტში აღიწეროს, რომ რესურსების შერჩევა ხდება გუნდურად ან პედაგოგიურ საბჭოზე განხილვის გზით.* |

## VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

## VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

*დაწესებულების მიერ არგუმენტირებული პოზიციისას წარმოდგენილია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, იმ ინდიკატორებთან მიმართებით რაც დახარვეზდა. ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, ვადები და რესურსები რელევანტურია და იზიარებს დაწესებულების მიერ წარმოდგენილ პოზიციას.*

# ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

## 1. სკოლის ფილოსოფია

### 1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

#### 1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სსიპ - გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალი სამგორის საჯარო სკოლის (შემდგომში ,,სკოლა", ,,დაწესებულება'') **მისიაა:** ,, შექმნას უსაფრთხო გარემო, რომელიც ხელს შუწყობს მოსწავლეთა პიროვნულ ზრდას პატრიოტული, დემოკრატიული, გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარებას. ჩაუნერგავს მოსწავლეებს ოჯახის, საზოგადოების, ტრადიციებისა და სახელმწიფოს მიმართ პატივისცემას. მისცემს თანამედროვე და მომავლის მოთხოვნების შესაბამის მოსწავლეზე ორიენტირებულ განათლებას, ეს ხელს შუწყობს იმ უნარ-ჩევების ჩამოყალიბება-განვითარებას, რომლებიც დაეხმარება ადაპტირდეს მუდმივად ცვალებად გარემოში.'', ხოლო დაწესებულების **ხედვაა** :,, 2031 წელს ჩვენი სკოლა იქნება რეგიონში წამყვანი, რომელიც მაქსიმალურად გამოავლენს მოსწავლეთა შესაძლებლობებს. სწავლა-სწავლების თანამედროვე მიდგომებით აღზრდის ამ შესაძლებლობების რეალიზაციის უნარის მქონე, შემოქმედებით, აქტიურ, კრიტიკულად მოაზროვნე თაობებს, რომლებიც განსაკუთრებულად იზრუნებენ კლიმატური ცვლილებებით გამოწვეული პრობლემების გადაჭრაზე.'' სკოლის მისიის და ხედვის შესწავლისას დგინდება , რომ იგი შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს ,რითაც სტანდარტის **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი მისია და ხედვა განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგდოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს, სკოლის ფილოსოფიაში ხაზგასმულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა და მათი როლი მოსწავლის მიღწევებსა და შედეგებზე. აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

სკოლა უპირველეს ყოვლისა, ხელმძღვანელობს სასწავლო პროცესში ჩართული პირების საუკეთესო ინტერესებით და საქმიანობას წარმართავს შემდეგ ღირებულებებზე დაყრდნობით:

1. გუნდურობა და თანამშრომლობა: ჩვენ ღია ვართ დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობისათვის. კონსტრუქციულად განვიხილავთ სიახლეებს, წინადადებებს, განსხვავებულ პოზიციებსა და ორიენტირებულნი ვართ პრობლემების გადაჭრაზე.

2. სამართლიანობა: ჩვენ უზრუნველვყოფთ, რომ სკოლის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები შეესაბამებოდეს მოქმედ კანონმდებლობასა და ითვალისწინებდეს დაინტერესებულ მხარეთა საუკეთესო ინტერესებს. ჩვენ მიერ განხორციელებული შეფასებები, ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმას და ფაქტობრივ გარემოებებს. დადგენილი პროცედურები მაქსიმალურად გამორიცხავს შეფასებაში მონაწილე პირების სუბიექტივიზმს.

3. განვითარებაზე ზრუნვა: სისტემატურად ვაფასებთ ჩვენს საქმიანობას და შეფასების შედეგებზე დაყრდნობით, ვგეგმავთ განვითარების ინოვაციურ გზებს. არ ვერიდებით სიახლეების დანერგვას.

4. პატრიოტიზმი: ჩვენ აღვზრდით ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ღირებულებების მქონე, ოჯახის, ქართული ტრადიციის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების, სახელმწიფო ენის, საქართველოს ისტორიის და კულტურის მცოდნე, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე და პატრიოტ მოქალაქეს;

5. გარემოზე ზრუნვა: ჩვენი ერთ-ერთი მთავარი ღირებულებაა ეკოლოგიური ცნობიერების მქონე მოქალაქის აღზრდა, რომელსაც შეუძლია კლიმატის ცვლილებისგან გამოწვეულ საჭიროებებზე ადეკვატური რეაგირება და მოქმედება ეროვნულ, რეგიონულ და გლობალურ დონეზე.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია ,,სკოლის ფილოსოფიისა(მისია, ხედვა და ღირებულებები) და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის,საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ'' სკოლის დირექტორის ბრძანება , რომლითაც განსაზღვრულია ის პირები , ვისაც დაევალა სკოლის ფილოსოფიის შემუშავება, ბრძანებით განსაზღვრული არიან პედაგოგოები, მშობლები,აღნიშნულის გათვალისწინებით სკოლის ფილოსოფიის შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოების თანამონაწილეობის პროცესი იკვეთება,**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

დირექტორის განმარტებით, სკოლის მისია ხედვა და ღირებულებები გაცნობილი იყო პედაგოგიურ საბჭოზე მოხდა ზემიპირი უკუკავშირის გაცემა სასკოლო საზოგადოების მხრიდან და საბოლოოდ სკოლის ფილოსოფიის პროექტის შემუშავება.აღნიშნულის მტკიცებულებად სკოლამ წარმომადგნა პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი, კერძოდ, სკოლის ვებ-გვერდზე და სკოლის საინფორმაციო დაფაზე. აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

საქართველო განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებით „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ" ბრძანებით სკოლის სახელწოდებად განსაღვრულია : სსიპ - გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალი სამგორის საჯარო სკოლა .შესაბამისად, სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

**დასტურდება** (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

სკოლის მიერ შემუშავებული სკოლის ფილოსოფია;

სკოლის ფილოსოფიის შექმნის მეთოდოლოგია;

ვებ-გვერდი;

დამტკიცებული სკოლის ფილოსოფია,პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი;
გასაუბრების შედეგები.

**შეფასება:**

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება**
**1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

დაწესებულება ხელმძღვანელობს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგიით, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს; აღნიშნული მეთოდოლოგია განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების ძირითად ეტაპებსა და პროცესში ჩართულ მხარეებს, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების, განხილვის, დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანისა და გაზიარების მექანიზმებს, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის, შეფასებისა და სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის მომზადებასთან დაკავშირებულ საკითხებს. სკოლა სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების წევრთა მოლოდინს, რისთვისაც სტრატეგიული დაგეგმვის ყოველი ახალი ციკლის დასაწყისში სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას სტრატეგიული დაგეგმვისა და შემუშავებული დოკუმენტების მათთვის გაზიარების პროცესში. ვიზიტის დროს, ექსპერტები გაეცნენ შესაბამის დოკუმენტებს , გაესაუბრნენ სასკოლო საზოგადოების წევრებს და დარწმუნდნენ, რომ პროცესები მეთოდოლოგიის შესაბამისად წარიმართა.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

დაწესებულების სტრატეგიული გეგმა (დამტკიცებული სამეურვეო საბჭოს N 8 ოქმით  09 .10.2023) მოიცავს ისეთ სტრატეგიულ მიმართულებებს როგორიცა :

- სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება ;
- ადამიანური რესურსის განვითარება ;
- უსაფრთხო გარემოზე ზრუნვა ;
- რესურსების მოძიება, მათ შორის ფინანსური;
- მოსწავლეთა მხარდაჭერა ;
- ორგანიზაციული განვითარება.

დაწესებულების სტრატეგიული გეგმა შვიდწლიან ციკლზეა აგებულია, ეფუძნება სკოლის ფილოსოფიას, და მოიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს, აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

დაწესებულების სამოქმედო გეგმა  (დამტკიცებული სამეურვეო საბჭოს N 10 სხდომაზე ; 16.09.2024) მოიცავს ყველა იმ მიზანს რომელიც გაცხადებულია სტრატეგიულ გეგმაში, გაწერილია შესაბამისი ვადები,აქტივობები და პასუხისმგებელი პირები, .**ინდიკატორი დაკმაყოფლებულია.**

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

   დაწესებულების  სამოქმედო გეგმაში ასახულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები,  გეგმა მოიცავს  შესაბამის ველს სადაც უნდა იყოს თითოეულ აქტივობასთან მიმართებაში შესაბამისი  შესრულების ინდიკატორი აღწერილი, თუმცა დოკუმენტის შესწავლისას მასში მხოლოდ მტკიცებულებებია ასახული, სკოლას მიეცა **რჩევა,** გაითვალისწინოს და სამომავლოდ ჩამოაყალიბოს აქტივობის შესრულების  გაზომვადი ინდიკატორის ფორმულირებით..**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება** (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის გრძელვადიანი სტრატგიული გეგმა;
- სკოლის ერთწლიანი  სამოქმედო გეგმა;
- სტრატეგიული განვითარებისა და სკოლის ფილოსოფიის შემუშავების მეთოდოლოგია;
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმები;
- ინტერვიუს შედეგები.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები, რომლების სტარტეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაშია აღწერილი, ანგარიშვალდებულებისა და მონაწილეობის პრინციპითაა შექმნილი. მონიტორინგის პროცესს, რომელიც განსაზღვრავს დაგეგმილი აქტივობების შესრულება/შეუსრულებლობას, მოსდევს შეფასების პროცესი, რომელიც პროცესს ხარისხობრივად აკონტროლებს.სკოლის მიერ შემუშავებულ სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში მკაფიოდ იკითხება მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები,სკოლას დადგეილი აქვს მეთოდოლოგიით სქემა (ცხრილი) რითაც მოახდენს მონიტორინგის შედეგების ანალიზს.აღნიშნულზე დაყრდნობით სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. ინდიკატორი **სტანდარტთან შესაბამისია.**

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლის სტრატეგიის განხორციელების შეფასება ხორციელდება ორჯერ - შუალედური და შემაჯამებელი შეფასების სახით.შუალედური შეფასება ტარდება ახალი სტრატეგიული ციკლის დაწყებიდან მესამე წლის ბოლოს, ხოლო სტრატეგიის განხორციელების შემაჯამებელი შეფასება იწყება მიმდინარე სტრატეგიული ციკლის ვადის გასვლამდე 6 თვით ადრე დასრულდება მიმდინარე სტრატეგიის დოკუმენტის ვადის ამოწურვამდე.ვინაიდან დაწესებულება გადის პირველად ავტორიზაციას ვიზიტის დროს შეფასებისა და მონიტორინგის პროცესი ჯერ არ იყო განხორციელებული.**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა გეგმავს ანგარიშების საჯაროობის უზრუნველყოფას სკოლის ვებ-გვერდზე. ვინაიდან სკოლა პირველად ავტორიზაციას გადის, ინდიკატორი ვერ შეფასდება.

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

სკოლის ადმინისტრაციასთან ინტერვიუთი ირკვევა, რომ რეგულარულად იმართება შეხვედრები, რომელზეც განიხილება სკოლის განვითარებასთან დაკავშირებული ზოგადი ხასიათის დადებითი და უარყოფითი ტენდენციები. იკვეთება საჭიროებები, პრობლემები და ისახება გადაჭრის გზები. სასწავლო წლის ბოლოს, პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე კათედრების თავმჯდომარეების, სკოლის დირექციის ანგარიშის საფუძველზე მოხდება სკოლის მუშაობის შედეგების ანალიზის გათვალისწინება. ექსპერტები მოკლებულნი არიან შესაძლებლობას, შეაფასონ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგებიგამოყენებულია თუ არა სკოლის შემდგომი განვითარებისთვის, ვინაიდან სკოლა ექვემდებარება პირველად ავტორიზაციას. ინდიკატორი არ ექვემდებარება შეფასებას.

**დასტურდება** (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სტრატეგიული განვითარებისა და სკოლის ფილოსოფიის შემუშავების მეთოდოლოგია;
- ინტერვიუს შედეგები.

**შეფასება:**
○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**
**3.1. პერსონალის მართვა**
**3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლას შემუშავებული აქვს ორგანიზაციის სტრუქტურის ამსახველი ორგანოგრამა, დამტკიცებულია საშტატო განრიგი და შინაგანაწესი. სკოლის სტრუქტურა შესაბამისობაშია საქართველოს კანონით ზოგადი განათლების შესახებ განსაზღვრულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტრუქტურასთან, დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია სკოლაში დასაქმებული პირების სამუშაო აღწერილობები. სკოლაში დასაქმებულ პირებთან გაფორმებული ხელშეკრულებები შესაბამისობაშია ერთმანეთთან. წარმოდგენილი დოკუმენტების ანალიზით დგინდება, რომ სკოლაში მოქმედი სტრუქტუტული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული.აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

დაწესებულებამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის ბრძანებით ( N 02-63; 19.05.2025) დამტკიცებული ,,სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციების შესახებ'' დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებს და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს,ინტერვიუს დროს ნათლად გამოიკვეთა, რომ სტრუქტურულ ერთეულებსა და ერთეულ თანამშრომლებს შორის როგორც ფუნქციები, ისე პასუხისმგებლობები ისეა განაწილებული, რომ მათ შორის დამყარებულია ჯანსაღი ურთიერთობა **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდებ**ა (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

სკოლის საშტატო განრიგი;

სკოლის ორგანოგრამა;

სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციების შესახებ დოკუმენტი;

პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

**3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა''(ბრძN 02-53;13.05.2025),რომლის მიზანია თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა,სკოლის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა და არსებული კადრების პროფესიული დონის ამაღლება. დოკუმენტის მიხედვით, ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების პოლიტიკის ამოცანებია: სკოლის ადამიანური რესურსების მართვა. დასაქმებულთა მუდმივი განვითარება, კვალიფიციური და შესაბამისი კადრების შენარჩუნება/მომზადების მიზნით, კადრების შერჩევის პროცესის ორგანიზება და მართვა, სამუშაო გარემოსთან ახალი თანამშრომლის ადაპტაცია. წახალისების სხვადასხვა ღონისძიებების დაგეგმვა და სხვ. დოკუმენტი ეფუძნება „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, „მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2020 წლის 30 ივნისის N67/ნ ბრძანების, „მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის N241 დადგენილებისა და სხვა სამართლებრივი აქტებს შესაბამისად **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

როგორც დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუირების დროს გამოიკვეთა, სკოლას შემუშავებული აქვს მასწავლებელთა საჭიროებების დადგენის მექანიზმი, რომლის საფუძველზეც ხორციელდება მხარდამჭერი ღონისძიებები. კოლეგებს შორის ურთიერთობა თანამშრომლობითია - საუკეთესო გამოცდილების და პრაქტიკის გაზიარება მიღებული ფორმაა. სკოლაში მოქმედებს დისციპლინური

კომიტეტი, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, იღებს საკუთარ უფლებამოსილებას მიკუთვნებულ გადაწყვეტილებებს საჭირო, რეგულაციების შესაბამისი ინტერვენციების შესახებ. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ დასაქმებულის არყოფნის შემთხვევაში სკოლა შეძლებს რისკების მართვას და ფუნქციების სხვაზე დელეგირებას, მაგალითის სახით სკოლამ მოიყვანა მასწვლებლის ჩანაცვლების პრაქტიკა სხვა პედაგოგით. აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სკოლაში მასწავლებლის დასაქმებისას მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 174/ნ ბრძანებით ხელმძღვანელობს, ექსპერტების მიერ შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმდა სკოლის მიერ გამოცხადებული ღია კონკურსების საფუძველზე მასწავლებლისა და სპეციალური მასწავლებლის შერჩევის პროცედურა. დოკუმენტების შესწავლამ დაადასტურა, რომ სკოლას კანონმდებლობის შესაბამისად აქვს ვაკანტური ადგილის დასაკავებლად განაცხადი გაკეთებული, შექმნილი აქვს შესაბამისი კომისია და შერჩევის პროცედურები ჩატარებული აქვს კანონმდებლობის შესაბამისად, ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

სკოლას შემუშვებული აქვს „დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები" (ბრძანებაN2-63, 2025 წლის 19 მაისი), რომელიც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან, ხოლო შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმებული პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია დაკავებულ თანამდებობასთან და სკოლის მიერ განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან. ყველა დასაქმებულთან გაფორმებულია ხელშეკრულება კანონმდებლობის დაცვით, მათი პოზიციისა და კვალიფიკაციის შესაბამისად. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სკოლაში ჩამოყალიბებულია გუნდური მუშაობის კულტურა, რაც აისახება როგორც ორგანიზაციულ მართვაში, ისე ყოველდღიურ საქმიანობაში. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს თანამშრომლობის, ურთიერთპატივისცემისა და საერთო მიზნებზე ორიენტირებული მუშაობის საფუძვლებს. სკოლის ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს გუნდების (დისციპლინური კომიტეტი, გასაუბრების კომისია, მოსწავლეთა თვითმმართველობა, პედსაბჭო, სამეურვეო საბჭო, ფილოსოფიის დაგეგმარების ჯგუფი, ისგ ჯგუფები და სხვა) ჩამოყალიბებასა და ფუნქციონირების შესაძლებლობას. პედაგოგიური და ადმინისტრაციული პერსონალი ჩართულია ერთობლივი მიზნების დაგეგმვასა და განხორციელებაში, გადაწყვეტილების მიღებაში ჩართულია შესაბამისი სტრუქტურული ერთეული, გუნდის შიგნით პასუხისმგებლობების გადანაწილება არის მკაფიო და სამართლიანი, რაც ხელს უწყობს პროცესების ეფექტიან მართვას.**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

სკოლის შინაგანაწესის მიხედვით, სკოლას აქვს დადგენილი თანამშრომელთა წახალისების მექანიზმები: მადლობის გამოცხადება, ფულადი პრემია და სხვ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

**დასტურდება** (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

დაწესებულების ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;

პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებით;

თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;

მართვის საინფორმაციო სისტემაში eschool ასახული მონაცემები;

გასაუბრების შედეგები;

შინაგანაწესი,

**შეფასება:**

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.2. პერსონალის განვითარება**

**3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვის/მონიტორინგის პროცესს. აღნიშნული პროცესი ემსახურება დასაქმებულთა განვითარებასა და მათი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენის ხელშეწყობას, შესაძლებელს ხდის დასაქმებულთა კვალიფიციურობის ანალიზს სამუშაოს ძირითად მოთხოვნებთან, დასახულ მიზნებსა და ამოცანებთან მიმართებაში. ავლენს სამუშაოს შესრულების ხარისხის განმაპირობებელ გარემოებებს და დასაქმებულთა პროფესიული განვითარების კუთხით დამატებით საჭიროებებს. შესრულებული სამუშაოს შეფასება შესაძლებელია

განხორციელდეს შემდეგი ფორმით: შეფასება უშუალო ხელმძღვანელის მიერ; თვითშეფასება; შესაბამისი კითხვარების მეშვეობით სასკოლო საზოგადოების მიერ შეფასება;კრიტიკული შემთხვევების შეფასება;გარკვეული სამუშაო ჯგუფის/კომისიის მიერ შეფასება;სამუშაო პროცესზე/საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება.აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

სკოლის მიერ წარმოდგენილი ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკისა და დირექტორთან ინტერვიუს შედეგად, შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე სკოლა დაგეგმავს მიზნობრივი განვითარების პროცესს;სკოლაში შემუშავებულია შიდა მექანიზმი, საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვების სახით, რომელსაც ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფი ხელმძღვანელობს, მასწავლებლები გამოვლენილი საჭიროების მიხედვით ესწრებიან ტრენინგებს. ამასთან, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი ითვალისწინებს პერსონალის განვითარების ხელშემწყობ აქტივობებს.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

სკოლა პერსონალის კარიერული ზრდის ხელშესაწყობად წარმატებით იყენებს გამოცდილების გაზიარების პრაქტიკას, თანამშრომელთა/მასწავლებელთა წახალისებას/მხარდაჭერას რათა მათ შეძლონ მასწავლებლის პროფესიული გამოცდის ჩაბარება ან/და სტატუსის ამაღლება. სკოლას ჰყავს მაძიებელი მასწავლებელი,2025 წლის 13 ივნისისN 667037 კორესპონდენციით წარდგენილი ყავს დადებითი შეფასებით მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრში. სკოლას განსაზღვრული ჰყავს ტუტორი და განსაზღვრული აქვს ტუტორის ვადებულება, რომელიც გამოიხატება მაძიებელი მასწავლებლის მხარდაჭერაში, მაძიებლის ინდივიდუალური საჭიროებების განსაზღვრაში, პროფესიული გამოცდილების გაზიარებაში.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან; დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ,, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი არეგულირებს თანამშრომლის სოციალიზაცია -ადაპტაციის პირობებს,რომლის მიხედვით: ახალდანიშნული თანამშრომლის სოციალიზაცია და ადაპტაცია-ორიენტაციის პროცესის ადმინისტრირებაზე პასუხიმგებელია სკოლის დირექციის წარმომადგენელი.მოცემული პროცედურა მოიცავს ახალმიღებული თანამშრომლების სამუშაოზე მიღებისა და ადაპტაციის ეფექტურად განხორციელების პროცესის აღწერას, თანმიმდევრულ ნაბიჯებსა და საუკეთესო პრაქტიკებზე დაფუძნებულ რეკომენდაციებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**.

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

დაწესებულების წარმომადგენლებთან და მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლა მუდმივად ითვალისწინებს მასწავლებლების ინიციატივებს და ამ მიზნით კათედრების მომართვის საფუძველზე უზრუნველყოფს მათ ყველა ტიპის საგანმანათლებლო რესურსით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*
ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
სკოლის შინაგანაწესი;
ახალი თანამშრომლის სამუშაოზე მიღებისა და ადაპტაციის პროცედურა;
მაძიებელი მასწავლებლისპორტფოლიოთი;
ინტერვიუს შედეებით.

**შეფასება:**

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.3. პროცესების მართვა**

**3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს, კერძოდ სკოლის მიერ წარმოდგენილ სხვადასხვა მარეგულირებელ დოკუმენტებში ნათლად იკითხება ციკლურობა, რომელიც ითვალისწინებს დაგეგმე-განახორციელე-შეაფასე-გადახედვის ეტაპებს. პროცესული მიდგომა იკვეთება სასკოლო სასწავლო გეგმის დაგეგმვის მეთოდოლოგიაში,კურიკულუმის განვითარების

მეთოდოლოგიაში,სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებში,აღნიშნულის აღნიშნულის გათვალისწინებით შესაძლებელია ითქვას რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი მარეგულირებელი დოკუმენტების შესწავლის და ინტერვიუს შედეგებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლის ადმინისტრაცია წარმოადგენს სასწავლო პროცესის ძირითად ღერძს, რომელიც აანალიზებს სწავლა-სწავლების ხარისხის შეფასებასა და მონიტორინგს. ასევე მნიშვნელოვან რგოლს წარმოადგენს საგნობრივი კათედრები,მოსწავლეთა თვითმმართველობა,სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები (ნაბიჯები და ეტაპები) იდენტიფიცირებული და აღწერილია სკოლის შინაგანაწესში. აღწერილია მმართველობითი პროცესები (სკოლის ადმინისტრაციული მართვა, დირექციისა და ადმინისტრაციის ფუნქციები მართვის პროცესში, გაწერილია პასუხისმგებლობები და ანგარიშვალდებულებები). საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები (ნაბიჯები და ეტაპები) იდენტიფიცირებული და აღწერილია ნაწილობრივ სკოლის შინაგანაწესში და ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში.ძირითადი პროცესი - საგანმანთლებლო პროცესი - ნაწილობრივ აღწერილია სკოლის შინაგანაწესში და სსგ. -ში. მაგალითად, დისციპლინური წარმოება ჩანს - შინაგანაწესში,პროცესები (საკადრო პოლიტიკა, საქმისწარმოების პროცესები და სხვა) აღწერილია სხვადასხვა დოკუმენტებში , როგორიცაა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი. ხელშეკრულებები და შინაგანაწესი აწესრიგებს შრომითი ურთიერთობის წარმოშობას და შრომითი ურთიერთობის პირობებს (სამსახურში გამოუცხადებლობის შეტყობინების წესს, ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობას და მიცემის წესს, შვებულებას ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო და სხვა). საქმისწარმოების პროცესები ჩანს სკოლის მიერ შემუშავებული საქმისწარმოების წესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლის მიერ წარმოგენილია საჩივრების განხილვის და გადაწყვეტილებების გასაჩივრების მიზნით დოკუმენტი-საჩივრების განხილვის წესი, ამ წესით რეგულირდება განცხადების/საჩივრის წარდგენის წესი, ვადები და გადაწყვეტილებები.ინდიკატორი **დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

სკოლის ყველა პერსონალის/მშობლის კანონიერი უფლებების დაცვის მიზნით შემუშავებულია სკოლის შინაგანაწესი;
ფუნქციონირებს დისციპლინური კომიტეტი;ყველა კლასს ჰყავს დამრიგებელი;დასაქმებულია უფლებამოსილი პირი.
აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

**დასტურდება (მტკიცებულებები):**
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*
სტრატეგიული გეგმა;

ერთწლიანი გეგმა; დაგეგმარების მეთოდოლოგია;
კურიკულუმის მეთოდოლოგია;
დისციპლინური კომიტეტის არჩევის ოქმი;
შინაგანაწესი; განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი
ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია ;
კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის

**3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წევრების ჩართულობას სკოლის მართვის ორგანოებში, რომლის მიზანია სკოლის სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების მიღწევის ხელშეწყობა და დასაქმებული პირების შესაძლებლობების მაქსიმალური წარმოჩენა და რეალიზება. სკოლა მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების და უკუკავშირის მიღების მიზნით იყენებს სხვადასხვა ტიპის არხს, მათ შორის, სოციალური ქსელით დაფიქსირებულ მოსაზრებებს, კათედრების მიერ შექმნილ საკომუნიკაციო მესინჯერ - ჯგუფებსა და Teams ჯგუფებს .რეგულარულად ატარებს კვლევებს, კითხვარების საშუალებით , რომლის საფუძველზე იღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**2.უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

ყველა მასწავლებელი არის ჩართული მართვის კოლეგიალურ ორგანოში (პედაგოგიური საბჭო), სადაც გადაწყვეტილებების მიღებაში ყველა თანაბრად იღებს მონაწილეობას, გამოხატავს საკუთარ აზრს და იზიარებს სხვებისას ხოლო გადაწყვეტილებები მიიღება გააზრებულად და ანალიზის საფუძველზე. სკოლაში დასაქმებულ პირებს აქვთ თანაბარი შესაძლებლობა საკუთარი მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად.მოსწავლეთა თვითმმართველობასაც ჰყავს საკუთარი წარმომადგენელი. დისციპლინური კომიტეტი მოსწავლეებით, მშობლებით და პედაგოგებით არის დაკომპლექტებული, რაც თავის მხრივ ხელშემწყობი გარემოა სასკოლო ცხოვრებაში სასკოლო საზოგადოების ჩართვისთვის.სკოლაში აქტიურად მუშაობს სამეურვეო საბჭო,მრჩეველთა საბჭო.ზემოაღნიშნული სტრუქტურული ერთეულებში თანამშრომლობა ხელს უწყობს სკოლის ცხოვრებაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

https://www.facebook.com/Newsamgori;
კოლეგიალური სხდომის ოქმები.

**შეფასება:**

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება**

**3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)**

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის №370 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის „სახანძრო უსაფრთხოების წესების და პირობების შესახებ“ მოთხოვნების დასაკმაყოფილებად სკოლას უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის თხოვნით გაგზავნილი აქვს კორესპონდენცია. სკოლას არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნების შესაბამისად. <u>სკოლას მიეცა რჩევა სასურველია ჰყავდეს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.</u> სკოლას ასევე არ აქვს: უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა და უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა. ამ უკანასკნელი დოკუმენტების მოპოვების მიზნით, დაწესებულებამ წარმოადგინა სტანდატის უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვით 2026 წლამდე იგეგმება ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ

დასკვნის და საგანგებო სიტუაციების გეგმის წარმოდგენა. ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის მიზნით სკოლაში დასაქმებულია სათანადოდ გადამზადებული პასუხიმგებელი პირი, სკოლის უსაფრთხოებაზე ზრუნავენ დარაჯები.**ინდიკატორი მეტწილ შესაბამისობაშია.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სკოლას დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს ,,სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი“. პირველადი სამედიცინო დახმარების მისაღებად მოწყობილია სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია კანონმდებლობით დადგენილი ინვენტარით, გარდა შირმისა , რომელიც უზრუნველყოფს პაციენტთა პრივატულობას.სკოლაში არ არის დასაქმებული შესაბამისი კვალიფიკაციის ექიმი.აღნიშნულის გათვალისწინებით სკოლა ვერ უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას შესაბამისი კადრით. ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული.

დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციით ცენტრში გადმოაგზავნა სტანდარტის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რითაც განისაზღვრა შესაბამისი სამედიცინო პერსონალის დასაქმებისთვის კონკრეტული აქტივობები და ვადები(27.08.2026). ამასთან, წარმოდგენილია სამედიცინო კაბინეტის სრულად აღჭურვის მიზნით შირმის შეძენის მტკიცებულებები. აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი მეტწილ შესაბამისობაშია,

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სკოლის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით, დასაქმებულა უფლებამოსილი პირი,ამასთან სკოლას ჰყავს დარაჯები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შენობის და დასაქმებულ პირთა უსაფრთხოებას, სკოლაში მოქმედებს მასწავლებელთა მორიგეობა. შენობაში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია:საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ – „112“-ის ცხელი ხაზის ნომერი, წარმოდგენილი დოკუმენტაციით მოსწავლეებისათვის მოსწავლის უფლებებისა და წესების გაცნობა ხდება კლასის ხელმძღვანელების მიერ კლასის საათზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

დაწესებულებაში ფსიქო-ემოციური უსაფრთხო გარემოს ფორმირების მიზით შემუშავებულია და დამტკიცებულია ბავშვთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია. სკოლა განახორციელებს საჭიროების შემთხვევაში რეფერირებას, დასაქმებულია სპეციალური მასწავლებელი, ასევე - საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლის გადამისამართება მოხდება მანდატურის სამსახურთან არსებულ ფსიქო-სოციალური მომსახურების ცენტრში.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ - ჰიგიენური ნორმების დაცვას; სკოლა მოწესრიგებულია, სისუფთავის დაცვაზე პასუხისმგებელია შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული 2 დამლაგებელი. ასევე საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების ხელშეწყობის ქვეპროგრამის ფარგლებში დასაქმებულია კიდევ ერთი დამლაგებელი. დამლაგებლები იცავენ ყოველდღიურად სისუფთავეს სკოლის შენობის მთელ ტერიტორიაზე. სკოლის მახლობლად განთავსებულია მუნიციპალური დასუფთავების სამსახურის მიერ ნარჩენების ურნები, ასევე სკოლის სამივე სართულზე ნარჩენების დახარისხებისა და შეგროვების სპეციალური ყუთები. შენობის ყველა ოთახში განთავსებულია ნარჩენების პატარა ურნებიც. სკოლას ასევე ემსახურება იმავე პროგრამით დასაქმებული 1 მეეზოვე, რომელიც უზრუნველყოფს სკოლის ეზოს სისუფთავეს, ათავისუფლებს ეზოს ბალახებისა და ნარჩენებისაგან. სკოლის სველი წერტილები მოწესრიგებულია და აღჭურვილია ყველა შესაბამისი ნივთით, რომელთა მომარაგებაზეც ზრუნავს სკოლის დირექცია. სკოლაში რეგულარულად ტარდება სადეზინფქციო-პროფილაქტიკური სამუშაოები (დეზინფექცია, დერატიზაცია, დეზინსექცია) **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

დაწესებულებას არ ყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი რეგისტრირებული კანონმდებლობის შესაბამისად, აღნიშნულის გათვალისწინებით სკოლას მიეცა რჩევა დაასაქმოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრი.ინდიკატორი შესაბამისობაშია,

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლა მუშაობის პროცესში იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს, ახორციელებს დასაქმებულ პირთა და მოსწავლეთა ინფორმირებას ინფორმაციული უსაფრთხოების არსსა და მნიშვნელობაზე. სკოლაში გამოიყენება მხოლოდ ლიცენზირებული პროგრამები, სკოლაში არსებული პერსონალური ინფორმაცია არ ზიარდება ვებგვერდზე. განსაზღვრულია ვებგვერდზე პასუხისმგებელი პირი,დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით და ვიზუალური დათვალიერებით სკოლის საქმისმწარმოებელთან არის დაცული სკოლის თანამშრომლების და მოსწავლეების პირადი საქმეები, რომელიც შენახულია და ხელმისაწვდომი არ არის, ხოლო საარქივო მასალები ინახება ცალკე გამოყოფილ სივრცეში.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სკოლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი ითვალისწინებს საკითხებს, რომლის მიხედვით სკოლა შეძლებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას. სკოლაში ფუნქციონირებს მრჩევლეთა საბჭო, რომელსაც დაწესებულების დირექტორი წარუდგენს ანგარიშს სკოლის უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით, ხოლო საბჭო იძლევა სხვადასხვა ტიპის რეკომენდაციებს, რომელიც დაწესებულებას ეხმარება არსებული უსაფრთხოების პროცესების პერიოდულ თვითშეფასებაში.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით;
დამლაგებლებთან გაფორმული ხელშეკრულებით;
დარაჯთან გაფორმებული ხელშკრულებით;
ვიზუალური დათვალიერებით;
პერსონალურ მონაცემთა დაცვის და მონიტორინგის მექანიზმები
ინტერვიუს შედეგები.

**შეფასება:**

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

### 3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

### 3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სკოლის სარგებლობაშია ძირითადი კორპუსი, რომლის **პირველ** სართულზე განთავსებულია: 2 საკლასო ოთახი, სველი წერტილები, ექიმის კაბინეტი, დარაჯის ოთახი, მანდატურის ოთახი, სპორტის კაბინეტი, სპორტდარბაზი, გასახდელები, სარეკრეაციო სივრცე. **მეორე** სართულზე: 2 საკლასო ოთახი, დირექტორის კაბინეტი, ბუღალტერია-საქმის წარმოების ოთახი, რესურსოთახი, სამასწავლებლო, ქართული ენისა და ლიტერატურის კაბინეტი, მათემატიკის კაბინეტი სარეკრეაციო სივრცეები და საპირფარეშოები. **მესამე** სართულზე: საკლასო ოთახები საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული ტექნოლოგიების ლაბორატორიები, საზოგადოებრივი მეცნიერებების კაბინეტი, თვითმმართველობის ოთახი, ესთეტიკის კაბინეტი, უცხოენების კაბინეტი, ბიბლიოთეკა. მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორის ოთახი, პერსონალისა და შშმ პირთა საპირფარეშო. სკოლაში ვიზიტის დროს ირიცხებოდა 221

მოსწავლე, მათ შორის 11 სსსმ მოსწავლე, სკოლის ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლის დირექტორის 2025 წლის 15 მაისის N02-58 ბრძანებით დამტკიცებული აქვს ,, მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი“. როგორც უკვე აღინიშნა, სკოლის ახალ რეაბილიტირებული ინფრასტრუქტურა, ლაბორატორიები, სპორტული და სააქტო დარბაზები უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების თანაბარ წვდომას და სივრცეების ფუნქციურ გამოყენებას. მატერიალური რესურსები განთავსებულია მოსწავლისა და პედაგოგისათვის ადვილად მისაწვდომ ადგილას, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის შეუფერხებელ მიმდინარეობას. სკოლის ბიბლიოთეკა ღიაა სწავლების დროის განმავლობაში. ყველა კლასი უზრუნველყოფილია სავალდებულო სასწავლო ინვენტარით; სპორტული დარბაზი და კომპიუტერული ლაბორატორია გამოიყენება საჭიროების შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი.დაწესებულებაში დასაქმებულია ბიბლიოთეკარი, შერჩევითი პრინციპით დათვალიერებისას დადგინდა, რომ სკოლაში დაცულია საბიბლიოთეკო წესით რეგისტრირებული სახელმძღვანელოები, მხატვრული და პროფესიული ლიტერატურა. ვიზუალური დათვალიერებით გამოიკვეთა , რომ სკოლის ბიბლიოთეკაში უახლესი თანამედროვე მხატვრული ლიტერატურა არ არის ხელმისაწვდომი, ვიზიტის ფარგლებში ბიბილიოთეკართან გასაუბრებით დადგინდა, რომ ათეული წელია მხატვრული ლიტერატურით არ მომხდარა ბიბლიოთეკის შევსება,***სკოლას მიეცა რჩევა*** *გაამდიდროს მხატვრული ლიტერატურით და მეტად ფუნქციური გახადოს აღნიშნული სივრცე.* **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სკოლა ინკლუზიური პრინციპების შესაბამისად, თავისი ინფრასტრუქტურით ქმნის ყველა მოსწავლისათვის თანაბარ ხელმისაწვდომ საგანმანათლებლო გარემოს. სკოლაში, პირველი სართულის ფოიეში მოწყობილია პანდუსი და შემდეგ უკვე სართულებზე გადასაადგილებლად დამონტაჟებულია ლიფტი, რომლებიც უზრუნველყოფს შშმ მოსწავლეების თავისუფალ გადაადგილებას. სპეციალურად ადაპტირებული სველი წერტილები, ცალ-ცალკე გოგონებისა და ვაჟებისათვის,**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სასწავლო შენობა და მასში არსებული სივრცეები: საგნობრივი კაბინეტები, სპორტული სივრცე, ეზო და საკლუბო ოთახი (თვითმმართველობის სივრცე ) მიზანმიმართულად გამოიყენება კულტურული ღონისძიებების, საგანმანათლებლო პროექტებისა და არაფორმალური აქტივობებისთვის. სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეთა თვითგამოხატვასა და შემოქმედებით ჩართულობას, რაც

ხორციელდება როგორც შიდა, ასევე საზოგადოებაზე ორიენტირებული ღონისძიებებით. ამ პროცესში აქტიურად ერთვებიან მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლები და ადგილობრივი თემის წარმომადგენლები. ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ინკლუზიურობას, მრავალფუნქციურობას და უსაფრთხო გარემოს, რაც აძლიერებს სკოლის როლს ადგილობრივი საზოგადოების კულტურულ ცხოვრებაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი;

ბიბლიოთეკის მუშაობის წესი;

ბიბლიოთეკართან გაფორმებული ხელშეკრულება;

ვიზუალური დათვალიერებით.

**შეფასება:**

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.6. საინფორმაციო რესურსები**

**3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლის კომპიუტერული ლაბორატორია, ასევე, დაწესებულების სარგებლობაში არსებული კომპიუტერული ტექნიკა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას. სკოლას აქვს როგორც პერსონალური და ისე პორტატული კომპიუტერი, პრინტერი და პროექტორი. კომპიუტერულ ლაბორატორიაში 23 პერსონალური კომპიუტერია დაკავშირებული ინტერნეტთან. სკოლაში ინტერნეტით სარგებლობა შესაძლებელია ნებისმიერ ოთახში, ისეა მოწყობილი ინტერნეტ ქსელი, რომ ყველა ოთახს მიეწოდება ინტერნეტი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

დამტკიცებულია ,,მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი", რომლის მე-6 მუხლი განსაზღვრავს მოსწავლეების, მასწავლებლების და სკოლის სხვა თანამშრომლების კომპიუტერული ტექნიკის მოხმარების წესს. სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირი სკოლის ვებ. გვერდის ადმინისტრირებაზე. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*
ვიზუალური დათვალიერებით;
საინფორმაციო ტექნოლოგიების ფლობის დოკუმენტაციით;
,,მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი",

**3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლის დირექტორის 2025 წლის 06 მაისის N 02-42ბრძანებით დამტკიცებულია საქმისწარმოების წესი, რომელიც შემუშავებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით და ადგენს ერთიან მოთხოვნებს სკოლის მმართველობით საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტბრუნვის, დოკუმენტების შესრულების კონტროლის ორგანიზების, დოკუმენტების შემდგომი შენახვისა და გამოყენებისათვის მოსამზადებლად. დაწესებულებაში კანონით დადგენილი წესით იწარმოება სარეგისტრაციო ჟურნალები, რომლებიც ექსპერტებმა ვიზიტის მიმდინარეობისას დაათვალიერეს და დაადგინეს შესაბამისობა საქმისწარმოების არსებულ წესთან. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

დაწესებულებაში მოქმედებს სკოლის დირექტორის 2025 წლის 06 მაისის N 02-42ბრძანებით დამტკიცებული საქმისწარმოების წესი,რომელიც არ ითვალისწინებდა თანამედროვე დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის ( eflow, eschool, emis) გამოყენების საკითხებს, ვიზიტის ფარგლებში დაწესებულებამ შეიტანა ცვლილებები საქმისწარმოების წესში სადაც აღწერილია დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემით სარგებლობის წესები და პირობები. შერჩევითი პრინციპით დათვალიერებისას Eflow - ს სისტემაში გატარებულია ყველა დოკუმენტი. სკოლას აქვს ESCHOOL.EMIS.GE ერთიანი ბაზის სისტემა, სისტემაში შეყვანილია სკოლის ძირითადი ინფორმაცია, სკოლის პერსონალის მონაცემები, მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მონაცემები, საკონტაქტო ინფორმაციები. აღნიშნულ ბაზაში მუშაობს საქმეთამმართველი . მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და ჩარიცხვა-ამორიცხვის პროცესი წარიმართება eSchool-ის სისტემის მეშვეობით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

ESCHOOL.EMIS.GE საკუთარი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. სკოლის საინფორმაციო ბარათში შეყვანილია ინფორმაცია: მისამართი, იურიდიული სტატუსი, საგანმანათლებლო სტატუსი, საიდენტიფიკაციო კოდი, სექტორი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირს და ინფორმაციას საგანმანათლებლო მარეგულირებელ უწყებებს. აღნიშნული დასტურდება შემოსული და გასული კორესპონდეცნიების ჟურნალში გატარებული მონაცემებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

საქმისწარმოების წესი;

ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემები;

შემოსული და გასული კორესპონდენციებით;

ინტერვიუს შედეგებით.

**3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

   სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით; დაწესებულება ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებგვერდის გზით https://skolebi.emis.ge/schools/2011ამასთან საკომუნიკაციო არხად იყენებს ასევე სკოლის ოფიციალურ ფეისბუქის გვერდს და სკოლის ელ, ფოსტას; **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებასაღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

პირისპირ კომუნიკაციის საფუძველზე ან სოციალური ქსელში https://www.facebook.com/Newsamgori, ასევე, ელექტრონულ ფოსტით მიღებული უკუკავშირი სკოლისათვის საქმიანობის გაუმჯობესების, ინტერვენციების განხორციელების საფუძველია. სკოლას შედგენილი

აქვს მშობლებთან ურთიერთობის დებულება რომელიც არეგულირებს მშობელსა და სკოლას შორის არსებული ურთიერთობების ძირითად ასპექტებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე,**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლის ვებ. გვერდი ინფორმაციულია და დაინტერესებულ პირებს აწვდის ინფორმაციას სკოლის ფილოსოფიის, სტრუქტურის, პროგრამების შესახებ. აგრეთვე, დეტალურად აღწერს ჩარიცხვის პროცედურებს, გასაჩივრების მექანიზმებს, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნებს, გასაჩივრების მექანიზმებს და ა.შ.. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

სკოლის ვებ-გვერდის დათვალიერებით;

მართვის საინფორმაციო სისტემის დათვალიერებით;

**შეფასება:**

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

### 3.7. ფინანსური რესურსები

#### 3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლის დაფინანსების წყაროა „ზოგადი განათლების დასაფინანსებლად ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივისა და მისი შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის №476 დადგენილებით გათვალისწინებული ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივის შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერი. დაფინანსების წყაროები ასახულია სკოლის ბიუჯეტში და მიემართება სკოლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ აქტივობების განხორციელებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლის ბიუჯეტის განკარგვას სკოლის დირექტორი უზრუნველყოფს, ფინანსური ანგარიშგება კანონმდებლობით დადგენილი წესით ხორციელდება და შესრულების ანგარიში წარედგინება ფინანსურ სამსახურს. აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება** (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

სკოლის დამტკიცებული ბიუჯეტით;

ბიუჯეტის შესრულების ანგარიშებით;

დაფინანსების ანალიზის შედეგებით;

სკოლის ფინანსური აქტივების ინვენტარიზაციის შედეგებით.

**შეფასება:**

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**4. მოსწავლეთა მხარდაჭერა**

**4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა**

**4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა. მოსწავლის უფლებების დაცვა უზრუნველყოფილია სკოლის შინაგანაწესით, რომელიც ხელს უწყობს სკოლაში მოსწავლეთა განათლებისთვის ფიზიკურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს ხელმისაწვდომობას და შექმნას. შინაგანაწესით განსაზღვრულია მოსწავლეთა უფლებები და პასუხისმგებლობები. სკოლაში შექმნილია დისციპლინური კომიტეტი, რომლიც განიხილავს შინაგანაწესით დადგენილი მოთხოვნების გადაცდომის საკითხებს, ასევე ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომლის საქმიანობაც მიემართება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფას; **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

სასწავლო წლის დასაწყისში სკოლის ადმინისტრაცია ან კლასის დამრიგებლები აცნობენ მოსწავლის მშობლებს დოკუმენტებს, როგორიც არის შინაგანაწესი, სასკოლო-სასწავლო გეგმა და ა.შ. აღნიშნული დოკუმენტაცია განთავსებულია სკოლის ვებ. გვერდზე, ასევე, გამოკრულია შენობაში თვალსაჩინო ადგილას, რათა გახადოს ის ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისთვის. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

მოსწავლის მშობელთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს შემდეგ პუნქტებს: ხელშეკრულების ნომერი და თარიღი, ხელშეკრულების მხარეთა მონაცემები, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის წესი, მხარეთა უფლება/მოვალეობები, სასწავლო დრო, დასვენების დრო, უქმე დღეები, მხარეთა პასუხისმგებლობა, დამატებითი პირობები და შინაგანაწესის გაცნობა. სკოლას მოსწავლის მშობელთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული აქვს კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულებები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

სკოლის შინაგანაწესი;

მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულებები.

**4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

დაწესებულებამ  წარმოადაგინა დირექტორის მიერ დამტკიცებული (2025 წლის 7 მაისი ბრძანება N 02-46) ,,მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან კლასში გადაყვანის,სტატუსის შეჩერების,მობილობისა დაუცხოეთში მიღებული განათლების აღიარების საფუძველზე მოსწავლის ჩარიცხვის წესი'', სკოლა მოსწავლეთათვის სტატუსის შეჩერებისა და აღდგენის დროს ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის2017 წლის 11 იანვრის N04/ნ ბრძანების შესაბამისად. სსსმ მოსწავლეთა ჩარიცხვა სკოლაში ხდება მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე. საფეხურის დაძლევის გამჭირვალე მექანიზმი სკოლას გაწერილი აქვს სასკოლო სასწავლო **გეგმაში.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

დაწესებულება იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს, რაც დადასტურდა სკოლაში მოქმედი რეგულაციების და იმ დოკუმენტაციის განხილვით, რომელიც ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის N04/ნ ბრძანების ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვის და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ“ საფუძველზე. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის განმარტებით, დამატებითი  მომსახურება არ ხორცილედება, აღნიშნულის გათვალისიწინებით **ინდიკატორი  შესაბამისობაშია.**

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლა ინფორმაციას სისტემატურად აწვდის მშობლებს დამრიგებლების მეშვეობით. სხვადასხვა აქტივობების, რესურსების შესახებ ინფორმაცია ვრცელდება პირისპირ შეხვედრის სოციალური ქსელის დახურული ჯგუფების  საშუალებით. სკოლის წარმომადგენლებმა ინტერვიუს დროს დააზუსტეს, რომ სკოლა დამატებით სერვისებს მოსწავლეებს ამ ეტაპზე  არ სთავაზობს.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

სკოლის ვებ გვერდი;

ინტერვიუს შედეგები;

მშობლეთან დადებული ხელშეკრულებები;

საერთო ბრძანებები;
Eschool ბაზა
სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, სტატუსის შეჩერება-აღდგენის და სასწავლო პროცესის რეგულირების წესი
მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის დოკუმენტაცია;

**შეფასება:**

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები**

**4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

დაწესებულებამ ვიზიტის დროს წარმოადგინა სკოლის დირექტორის 2023 წლის 22 სექტემბრის N02-63 ბრძანებით დამტკიცებული ,,მოსწავლის ადაპტაციის წესი''. ადმინისტრაცია პირველკლასელი მოსწავლეების და მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების მშობლებს, ასევე მობილობით გადმოსულ მოსწავლეებს ,მათთვის ხელმისაწვდომი ფორმით, აწვდის დეტალური ინფორმაციას სასწავლო პროცესის ორგანიზების მიმართულებით არსებული და სასწავლო პროცესის მიმდინარეობის დროს დასაცავი რეგულაციების შესახებ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან; დაწესებულების მიერ დამტკიცებული ,,მოსწავლის სასწავლო გარემოს ადაპტაციის წესი" ითვალისწინებს მოსწავლის სწავლის დაწყების მომენტიდან მის სოციალიზაციას და ადაპტაციას, კერძოდ განსაზღვრულია მოსწავლის მობილობის, პირველ კლასში შესვლისას სკოლაში ტრანზიციისა და ჩართულობის მხარდაჭერა.ამასთან,სასწავლო გარემოსთან მოსწავლეთა ადაპტაციაში მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ სკოლის მასწავლებლებს, განსაკუთრებით დამრიგებლებს. მასწავლებლები სხვადასხვა აქტივობებითა უზრუნველყოფენ მოსწავლეთა ადაპტაციას,

ხოლო სსსმ მოსწავლეთა შემთხვევაში, დამატებით პროცესში ერთვებიან სპეციალისტები. დაწესებულებას კარგად აქვს გათვითცნობიერებული, რომ პირველკლასელთათვის სწავლის დაწყება მნიშვნელოვანი ეტაპია, სწორედ ამ პერიოდში ყალიბდება ბავშვის დამოკიდებულება სწავლისა და სკოლის მიმართ. შესაბამისად, დაწესებულება პირველივე დღიდან ზრუნავს იმაზე, რომ მოსწავლეებმა წარმატებით გაიარონ სკოლასთან ადაპტაციის პერიოდი - აწყობს საზეიმო დახვედრას, აცნობს მათ სკოლის ინფრასტრუქტურას და ა.შ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

სკოლაში ვიზიტისას შესწავლილი დოკუმენტებიდან დასტურდება, რომ აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებისა და სწავლის პროცესის მხარდაჭერის მიზნით დაწესებულება საკონსულტაციო ფორმით დახმარებას უწევს მოსწავლეებს. სკოლა სასწავლო პროცესში იყენებს განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტებს: თვითშეფასება, ურთიერთშეფასება, მასწავლებლის ზეპირი თუ წერილობითი უკუკავშირი, რაც ეხმარება მოსწავლეებს სწავლაში და შედეგების გაუმჯობესებაში. სკოლის ელექტრონული ჟურნალი ხელს უწყობს მოსწავლის, მშობელის დროულ ინფორმირებას. სემესტრული და ექსტერნის გამოცდების წინარე პერიოდში საკონსულტაციო გრაფიკის მიხედვით უტარდებათ მეცადინეობები. სკოლას საკუთარ რეგულაციებში განსაზღვრული აქვს მოსწავლის და მისი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ინდივიდუალური ინფორმირების მექანიზმები მათი აკადემიური მიღწევების შესახებ (კონფიდენციალურობის დაცვით - ვიზიტის დროს სკოლამ ინტერვიუთი დააზუსტა, რომ პირისპირ შეხვედრები იმართება ინდივიდუალურად). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით; დაწესებულების წარმომადგენლის და პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა ღიაა მოსწავლეების საჭიროებების დასადგენად და შესაბამისი აქტივობების განხორციელებისთვის. სკოლა საჭიროების შემთხვევაში გამოყოფს სივრცეებს - კომპიუტერულ ლაბორატორიას, ბიბლიოთეკას, სპორტულ დარბაზს. სკოლა აცხადებს მზაობას გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში გაუწიოს მოსწავლეს ადმინისტრაციული მხარდაჭერა კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. კლასის დამრიგებლები მოსწავლეთა მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან სასწავლო წლის დასაწყისში , ასევე მოსწავლეებთან სადამრიგებლო საათის ფარგლებში გააცნობენ მათ უფლებებს და მოვალეობებსა და განხორციელების მექანიზმებს.ინდიკატორი **დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას; სკოლაში მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით, სკოლის ადმინისტრაციისა და სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერით განხორციელდა არაერთი პროექტი, ექსკურსიები, სპორტული და ინტელექტუალური შეჯიბრებები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

სკოლაში არსებობს სხვადასხვა საშუალებებით (კითხვარი, უშუალო კომუნიკაცია) მოსწავლეთა და დაინტერებული პირებისგან უკუკავშირის მიღების ინსტრუმენტები, რაც გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთათვის მომსახურების გაწევისას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

სადამრიგებლო საქმიანობით;

სასკოლო სასწავლო გეგმით;

არაფორმალური აქტივოების ამსახველი დოკუმენტაციით;

მოსწავლეთა ადაპტაციის წესით.

**4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების მოსწავლეთათვის ხელმისაწვდომობის მიზნით სკოლაში მოქმედებს სადამრიგებლო პროგრამა. ვიზიტის დროს წარმოდგენილი დამრიგებლების პორტფოლიოები ადასტურებს, რომ სადამრიგებლო საათის ფარგლებში პედაგოგები ანხორციელებენ აქტივობებს სხვადასხვა პროფესიების პოპულარიზების მიზნით.ამასთან დირექტორმა ინტერვიუს პროცესში აღნიშნა, რომ წარსულში სკოლას პროფესიულ დაწესებულებასთან მემორანდუმის ფარგლებში პროფესიული პროგრამების სწავლების პრაქტიკა ჰქონდა სკოლაში, რაც თავის მხრივ ხელს უწყობდა პროფესიული ორიენტაციის დანერგვაში,სკოლას აქვს უმაღლეს და პროფესიულ სასწავლებლებთან გაფორმებული მემორანდუმები. სკოლის მეორე და მესამე საფეხურის მოსწავლეებთან შეხვედრა ჩატარებული აქვთ პროკურატურასა და თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებს, ეწყობა ექსკურსიები პროფესიულ კოლეჯებში, ესწრებიან უმაღლეს სასწავლებლებში გამართულ ტრენინგებს, რომლებიც ეხმარებათ პროფესიების არჩევაში. სკოლა კვლავ გეგმავს სამომავლოდ ამ პროგრამის გააქტიურებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლისთვის მნიშვნელოვანი საკითხია კარიერული დაგეგმვის პროგრამის შემუშავება და აღნიშნულ პროცესში მშობელთა ჩართულობა. სკოლა სააღმზრდელო საათს იყენებს იმისათვის, რომ მოსწავლეებს მიაწოდონ ინფორმაცია კარიერული განვითარების შესაძლებლობების შესახებ. კარიერული დაგეგმვის მხარდაჭერის სისტემის ფარგლებში მე-9, მე-10 და მე-11 კლასის დამრიგებლები აქტიურად არიან

ჩართული მოსწავლეთათვის შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნადი პროფესიების შესახებ ინფორმაციის მიწოდებასა და მოსწავლეთა ინტერესების გამოკვეთაში.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

ინტერვიუს შედეგით გამოვლინდა, რომ სკოლა გეგმავს მომსახურების ხრისხის გაუმჯობესების მიზნით სხვადასხვა ტიპის კვლევების ჩატარებას.სკოლა ვინაიდან პირველად ავტორიზაციას გადის ინდიკატორი ვერ შეფასდება.

**დასტურდება** (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

სასკოლო პროექტების ამსახველი დოკუმენტაცია.

ინტერვიუს შედეგებით სკოლის წარმომადგენლებთან.

**4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლას ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმები. კერძოდ სასწავლო წლის დასაწყისში სკოლა ქმნის ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმას, სადაც გაწერილია განსახორციელებელი აქტივობები, მათი შესრულების ვადები და პასუხისმგებელი პირები. სამოქმედო გეგმა მოიცავს შემდეგ მიმართულებებს, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შეფასება და დასკვნის შედგენა, სტატუსის მინიჭებისა და მოხსნის რეგულაცია,მოსწავლის სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების იდენტიფიცირება.სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესამუშავებლად განისაზღვრება ისგ ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლეთათვის ინდივიდუალური გეგმის შემუშავებას და ხელს უწყობს მის განხორციელებას. სკოლის ისგ ჯგუფი შედგება სსსმ მოსწავლის კლასის დამრიგებლის, საგნის მასწავლებლების, რომლებიც უშუალოდ ასწავლიან მოსწავლეს, სპეც. მასწავლებლის, ასევე ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სხვა სპეციალისტებისა და სსსმ მოსწავლის მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლისგან. ისგ ჯგუფის შეხვედრაზე განიხილება სსსმ მოსწავლის შესაძლებლობები და საჭიროებები. ბავშვის ემოციური, გონებრივი, ფიზიკური, კოგნიტური, ფსიქო სოციალური თავისებურებების გათვალისწინებით დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. ისგ ჯგუფის სასწავლო წლის განმავლობაში იკრიბება მინიმუმ ოთხჯერ. ხორციელდება ინდივიდუალური გეგმის მონიტორინგი, რა დროსაც ფასდება მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესი, შედეგები, გამოწვევები, სწავლების სტრატეგიების ეფექტურობა. თუ გამოვლინდება საჭიროება რომ ინდივიდუალურ გეგმაში შევიდეს გარკვეული სახის ცვლილება, ამ შემთხვევაში ისგ ჯგუფი იკრიბება დამატებით.აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სკოლაში თითოეული სსსმ მოსწავლისთვის დირექტორის ბრძანებით იქმნება ისგ ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს ინდ.გეგმების შემუშავებას და განხორციელების ხელშეწყობას.სკოლას აქვს რესურსოთახი, შესაბამისი რესურსებით, ჰყავს სპეციალური მასწავლებელი. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია ისგ ჯგუფის ფორმირება. ისგ ჯგუფის მუშაობა ეფუძნება მასწავლებელთა და მშობლის ერთობლივ საქმიანობას. სკოლას შემუშავებული აქვს ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა, რომელსაც მონიტორინგს უწევს სასწავლო წლის დასაწყისში შექმნილი მონიტორინგის ჯგუფი. მონიტორინგის ჯგუფი წლის ბოლოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში გასაგზავნად ამზადებს დასკვნას, თუ რა გაკეთდა წლის განმავლობაში ინკლუზიური განათლების მხრივ. სასკოლო საზოგადოება აქტიურადაა ჩართული სსსმ მოსწავლეთა სწავლა-განვითარების პროცესში. სსსმ მოსწავლეებთან ინდივიდუალური მუშაობა ძირითადად მიმდინარეობს რესურს-ოთახში, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო საგანმანათლებლო და განმავითარებელი რესურსით. ასევე სსსმ მოსწავლეებთან მუშაობა ხორციელდება სკოლის სხვა სივრცეშიც. სპეციალური მასწავლებელი ახდენს სირთულეების იდენტიფიცირებას და წერილობით ან სიტყვიერ რეკომენდაციას აძლევს საგნის მასწავლებლებს. მათთან ერთად სსსმ მოსწავლის განვითარებისხელშეწყობის მიზნით ქმნის საგანმანათლებლო რესურსებს, როგორებიცაა: ადაპტირებული ტექსტი, ბარათები, ვიზუალური მიმანიშნებელი, ტაქტილური და სენსორული რესურსები. სკოლაში ხორციელდება მოსწავლის ქცევაზე დაკვირვება და ჩანაწერის ანალიზი. საჭიროების შემთხვევაში დგება რთული ქცევის მართვის გეგმა. სსსმ მოსწავლეების განვითარებაზე ზრუნავს მთელი სკოლა. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

**დასტურდება** (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა სპეციალური პროგრამა;
სასკოლო სასწავო გეგმა;
ისგ ჯგუფის ოქმები;
ინტერვიუს შედეგები;
ვიზუალური დათვალიერებით.

**4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სკოლა დამატებითი მომსახურების სახით მოსწავლეებს სთავაზობს სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ტრანსპორტით მომსახულებას.წარმოდგენილია ტრანსპორტის ტექდათვალიერების დოკუმენტაცია, მძღოლის დოკუმენტაცია და ტაბელი.
**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

სკოლა ამ ეტაპზე არ თავაზობს მოსწავლეებს დამატებით სერვისებს. აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი ვერ შეფასდება.

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

სკოლა ამ ეტაპზე არ თავაზობს მოსწავლეებს დამატებით სერვისებს. აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი ვერ შეფასდება.

**დასტურდება** (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

ტრანსპორტით უზრუნველყოფის დოკმენტაციით;

ინტერვიუს შედეგებით.

**შეფასება:**

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

# ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

## I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

**ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე**

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი**<br>დაწყებითი განათლების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | **■ შეესაბამება**<br>**☐ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

| **სტანდარტი 2** | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი**<br>საბაზო განათლების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | ■ **შესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი**<br>საშუალო განათლების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | ☒ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

*ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.*

### 2. სასკოლო კურიკულუმი

## 2.1. კურიკულუმის შემუშავება

### 2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას, აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

წარმოდგენილი კურიკულუმები , კურიკულუმის შემუშავებისა და განვითრების მეთოდოლოგია ცხადყოფს, რომ კურიკულუმის დაგეგმვისას კათედრა სასკოლო საზოგადოების ინტერესს ითვალისწინებს და თანხვედრაშია სტანდარტთან.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ კურიკულუმების შემუშავების პროცესში ერთმანეთთან აქტიურად თანამშრომლობდა თითოეული კათედრა და სკოლის ადმინისტრაცია. იგივე გამოიკვეთა მასწავლებლებთან ინტერვიუების დროსაც, თუმცა საჭიროა დამატებითი აქტივობების დაგეგმვა კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების პროცესებში სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების ჩართულობის უზრუნველსაყოფად. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა ისაუბრეს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაზე, ეფექტური კომუნიკაციის მიზანი სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობითი კულტურის დანერგვის ხელშეწყობაა სასწავლო გეგმით დასახული მიზნების მისაღწევად.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიითა და სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირება და მათი მხრიდან უკუკავშირის მიღება უზრუნველყოფილია სხვადახვა არხებით - სკოლის ვებგვერდი, სოციალური მედია, სამუშაო შეხვედრები.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც დამტკიცებულია სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალი სამგორის საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 28 აპრილის N 02-34ბრძანებით;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- საგნობრივი ექსპერტების მიერ ჩატარებული ინტერვიუს შედეგებით;

### 2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალი სამგორის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი საბუნებისმეტყველო საგნების სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოებში წარმოდგენილია საგნობრივ სტანდარტებში მოცემული სავალდებულო თემები, თემების შესაბამისი საკითხები, სამიზნე ცნებები. შუალედური მიზნები- კოპლექსური დავალებები შესაბამის სასწავლო შინაარსთან ერთად, განსაზღვრავს სკოლისა და მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ინტერესებს და შესაძლებლობებს და ადასტურებს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მაგ. მე-9 კლასის კურიკულუმის ჩარჩოში მოცემული კომპლექსური დავალება „ფინეას გეიჯის ავადმყოფობის ისტორია" ხელს შეუწყობს მოსწავლეთა დაინტერესებას და მოტივაციის ამაღლებას. სასწავლო რესურსები, მათ შორის ონლაინ რესურსები ორიენტირებულია პროცესის დაგეგმვასა და წარმართვაზე და მოსწავლეების განვითარებაზე. მე-7 კლასის ფიზიკის კურიკულუმის ჩარჩოში თემად მითითებულია "შესავალი". პედაგოგმა გასაუბრების დროს თქვა, რომ შესავალი ემსახურება მოსწავლეების მომზადებას სავალდებულო თემების შესასწავლად და მნიშვნელოვანი ნაწილია და ამიტომ განათავსა კურიკულუმის ჩარჩოში.<br>სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემული სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია და სსსმ მოსწავლეთა ინდივიდუალური გეგმები საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების ისეთ რეგულაციებს სთავაზობს, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეთა უნარებს, შესაძლებლობებს, ცოდნის დონეს. მასწავლებლებთან გასაუბრებამ აჩვენა რომ სკოლის მასწავლებლებს აქვთ კომპლექსური და სხვა ტიპის შემოქმედებით დავალებებზე (პროექტები) დაფუძნებული სწავლების დაგეგმვის და განვითარების გამოცდილება.<br>***რჩევა-*** ეროვნულ სასწავლო გეგმაში შუალედური მიზანი კომპლექსური დავალება ჩანაცვლებულია შუალედური მიზნის მისაწევი შემოქმედებითი დავალებით. სახელმძღვანელოები გრიფირებულია და მასში წარმოდგენილი სხვადასხვა ტიპის დავალებები ხელს უწყობს სამიზნე ცნებებზე გასვლას. ამიტომ კურიკულუმის ჩარჩოებში კომპლექსური დავალების გრაფა ჩანაცვლდეს შუალედური შემოქმედებითი დავალებით. შესაბამისად შესაძლებელი იქნება სხვადასხვა ტიპის შემოქმედებითი დავალებების ჩაწერა იმ საკითხებთან რომლებზეც არ არის მოცემული კომპლექსური დავალება. კურიკულუმის მონახაზი უფრო მრავლისმთქმელი გახდება, რაც საბოლოო ჯამში ხელს შეუწყობს მოსწავლეების მრავალმხრივ განვითარებას. |

| | |
|---|---|
| | საბუნებისმეტყველო საგნების კურუკულუმის ჩარჩოებში მიუთითეთ დაახლოებითი საათობრივი დატვირთვა. ეს დაეხმარება მასწავლებელს რომ დრო ეფექტურად გადაანაწილოს სავალდებულო თემების შესასწავლად. ასევე მიუთითეთ გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო.<br>მე-7 კლასის ფიზიკის კურიკულუმის ჩარჩოში თემად მითითებულია “შესავალი” ნამდვილად არის სახელმძღვანელოს პირველი თავი და ის ემსახურება მოსწავლეების მომზადებას სავალდებულო თემების შესასწავლად. მაგრამ კურიკულუმის ჩარჩოში ის არ უნდა იყოს მითითებული სავალდებულო თემების გრაფაში.შესაძლებელია რომ როგორც ერთი  შესასწავლი საკითხი დაემატოს, რომელიმე თემას.<br> .ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს. |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | საზოგადოებრივი მეცნიერების კათედრის წევრების მიერ, **სამივე** საფეხურზე- მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო, ისტორია, საქართველოს ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობის საგნებში შემუშავებული კურიკულუმები  მოსწავლეზე ორიენტირებულია და გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის ინდიკატორები.  თითოეული საგნის სამიზნე ცნებები და მკვიდრი წარმოდგენები მოსწავლის განვითარებას უწყობს ხელს. კურიკულუმების შემუშავებისას სკოლა ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, შესაძლებლობებს, საჭიროებებს. აძლევს არჩევანის საშუალებას, ზოგჯერ სთავაზობს შემოქმედებითი დავალების რამდენიმე ვარიანტს, მოსწავლეებს შეუძლიათ თვითონ გადაწყვიტონ კომპლექსური დავალების ფარგლებში მატერიალური სახით წარმოადგენენ თუ ელექტონული სახით პროდუქტს. ეს პროცესები იწვევს მოსწავლეებში მოტივაციის ამაღლებას და აქტიურ ჩართვას  სწავლა-სწავლების პროცესში. |
| უცხოური ენები | უცხო ენის კათედრის მიერ დაგეგმილი  სასწავლო პროცესი და კურიკულუმი მოსწავლეზეა ორიენტირებული. ისინი დავალებების  შექმნისა და პროცესის წამართვისთვის ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს, ასაკობრივ თავისებურებებს, და შესაძლებლობებს. მათ აქვთ არჩევანის საშუალეება ესათუ ის შემოქმედებითი პროდუქტი თავიანთი სურვილის მიხედვით (ელექტრონულად მაგ: PPT  პრეზენტაცია ან მატერიალურად პოსტერის საშუალებით) წარმოადგინონ, სასწავლო წლის დასაწყისში ისინი  მოსწავლეთა ცოდნის  დონის დასადგენად მიმართავენ სხვადასხვა ხერხებს როგორიცაა სადიაგნისტიკო წერა,  გასაუბრება, კითხვებე პასუხი. |
| ესთეტიკური აღზრდა | სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმი სამივე საფეხურზე მუსიკასა და ხელოვნებაში,  არის მოსწავლეზე ორიენტირებული. ის ითვალისწინებს მოსწავლეთა ასკობრივ და ინდივიდუალურ თავისებურებებს, სტანდარტით   გათვალისწინებულ,   კონკრეტული   საფეხურის   და საგნობრივ ჭრილში.. |
| სახელმწიფო ენა | შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.წარმოდგენილ კურიკულუმში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე, უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ტიპის  დავალებებს, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. კურიკულუმებში ასახულია ასაკის შესაბამისი, აქტუალური, ნაცნობი თემები, კონტექსტ მაგალითები და რესურსები.  კურიკულუმის გაცნობისა და მასწავლებლებთან |

| | |
|---|---|
| | გასაუბრებისდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს აქვთ მზაობა დაგეგმონ მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| მათემატიკა | კურიკულუმებში ჩანს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის მცდელობა: დავალებები ისეა შერჩეული, რომ დაკავშირებული იყოს მოსწავლის ყოველდღიურ ცხოვრებასთან (მაგალითად, პარკის დაგეგმარება ან პაროლის გამოცნობა). თუმცა ასეთი აქტივობები სამივე საფეხურზე არის საშუალოდ 3-4, მაშინ როცა კურიკულუმში განსაზღვრული აქვთ 8-9 თემა. განსაკუთრებით საშუალო საფეხუირია საყურადღებო, აქ შეტანილი აქვთ 1-2 დავალება წელიწადში, შესაბამისად ნაკლებად ეძლევათ მოსწავლეებს თვითგამოხატვის, ინიციატივის ან გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა.<br>ასევე კურიკულუმების სტრუქტურა, სვეტთა დასათაურება განსხვავდება: ზოგან გამოყენებულია ,,კომპლექსური დავალება‘‘, სხვაგან – ,,შემოქმედებითი დავალება“ ან „შუალედური მიზანი‘‘ ასევე განსხვავებულია ცხრილების დიზაინი და ტექსტური სტილი, სამივე საფეხურზე.<br>**რჩევა:** ყველა კლასის კურიკულუმში მიზანშეწონილია დაემატოს პრაქტიკული, რეალურ ცხოვრებაზე მიბმული აქტივობები, სადაც მოსწავლე თავად გეგმავს, წარადგენს და აფასებს შედეგს (მაგ: ბიუჯეტის შედგენა, გამოფენის მოწყობა, პროექტის წარდგენა თანაკლასელების წინაშე).<br>გარდა ამისა, საჭიროა **ტექნიკური ერთიანობის უზრუნველყოფა**: დაინერგოს სამივე საფეხურზე საერთო სტანდარტი კურიკულუმებში სვეტების სათაურებისთვის, ცხრილების ფორმატისთვის და ტექსტის სიდიდისთვის. ეს ხელს შეუწყობს უკეთეს აღქმას და სკოლაში კურიკულუმების თანხვედრას. |
| სპორტი | სამივე საფეხურზე - შემუშავებული კურიკულუმები მიემართება ესგ-ის გრძელვადიან მიზნებს და წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მასში მოცემული კომპლექსური დავალებები და აქტივობები საშუალებას იძლევა მოსწავლე იყოს სასწავლო პროცესის ცენტრში და ამასთანავე, საკუთარი სწავლის პროცესის წარმმართველი. ასევე, იგი საშუალებას აძლევს მოსწავლეებს გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობები, გამოხატონ ემოციები და ინტერესები.<br>**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**<br>**რჩევა:**<br>**1 -** სამივე საფეხურის კურიკულუმები სასურველია გაიმართოს ვიზუალურად. კერძოდ, ზედმეტი სვეტები და გვერდის მაშტაბები მოწესრიგდეს იმგვარად, რომ კურიკულუმი გახდეს მეტად აღქმადი.<br>2 - სამივე საფეხურზე - სასურველია სასწავლო თემა “ლაშქრობა” აქტივობებით დამუშავდეს იმგვარად, რომ მოსწავლეები არა მხოლოდ პრეზენტაციას ამზადებდნენ აღნიშნულ თემაზე, არამედ ფიზიკურადაც მონაწილეობდნენ მათთვის შესაფერის ლაშქრობაში/ლაშქრობებში. |
| ტექნოლოგიები | ტექნოლოგიების კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.<br>კურიკულუმებში ასახულია ასაკის შესაბამისი, აქტუალური, ნაცნობი თემები, კონტექსტ მაგალითები და რესურსები.<br>კურიკულუმები იძლევა საშუალებას სამიზნე ცნებების გააზრებისათვის |

| | |
|---|---|
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | დაწყებითი საფეხურის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმების (მათემატიკა, სახელმწიფო ენა, ბუნებისმეტყველება, მე და საზოგადოება) განხილვისა და მასწავლებელთა ინტერვიუს შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. ყველა საგნის კურიკულუმში (I – IV კლ.) მოცემულია სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები, საკითხები/ქვესაკითხები, გრძელვადიანი მიზნები... კურიკულუმი შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტებთან. |

## 2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სამივე საფეხურის კურიკულუმების ჩარჩოებში წარმოდგენილია საბუნებისნეტყველო საგნების სტანდარტებში მოცემული სამიზნე ცნებები და შუალედური მიზნები კომპლექსური დავალებები. მაგ. პირველი კლასის ბუნებისმეტყველების კურიკულუმის ჩარჩოს მიხედვით, უნდა განხორციელდეს სამიზნე ცნებების (მოვლენა) გააზრებაზე დაფუძნებული კომპლექსური დავალება წელიწადის დროებზე ნახატების ალბომის შექმნა, რომელიც მოსწავლეთა მიერ ბუნებრივი მოვლენების კერძოდ წელიწადის დროების შესწავლას ემსახურება. მე-4 კლასის ბუნებისმეტყველების კურიკულუმის მიხედვით, სასწავლო თემის დედამიწის ფარგლებში იგეგმება დავალების- დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების განხორციელება. აღნიშნული დავალების მიხედვით მოსწავლემ უნდა გამოიკვლიოს რა ედო საფუძვლად დიდ გეოგრაფიულ აღმოჩენებს, როგორ გადაადგილდებოდნენ და რა მეთოდებს იყენებდნენ უძველესი მოგზაურები ახალი ტერიტორიების აღმოსაჩენად, რა მნიშვნელობა ქონდა გეოგრაფიულ აღმოჩენებს კაცობრიობისათვის. ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად მოსწავლემ უნდა მოახდინოს იდეების გენერირება, პრობლემის გადაჭრის გზების დასახელება, ალტერნატიული პასუხების ძიება ეს აქტივობები კი როგორც კოგნიტური ოპერაცია კი ფუნქციურ-კომპონენტური უნარების - შემოქმედებითობის, კრიტიკული აზროვნების, ნებელობის განვითარებას უწყობს ხელს. მასწავლებლებთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ სკოლას აქვს მზაობა შეიმუშაოს კურიკულუმები, რომლებიც მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს.<br>რჩევა- უფრო ეფექტური რომ იყოს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევა შუალედური მიზანი კომპლექსური დავალების გარდა გამოიყენონ სხვადასხვა ტიპის შემოქმედებითი დავალებები. ამის საშუალებას კი გრიფირებულ სახელმძღვანელოებში წარმოდგენილი მრავალფეროვანი დავალებები იძლევა. შესაბამისად კურიკულუმის მონახაზი უფრო მრავლფეროვანი გახდება, რადგან ყველა შესასწავლი თემის და საკითხების ათვისების საშუალება დაისახება. რაც საბოლოო ჯამში ხელს შეუწყობს რომ კურიკულუმი მიემართებოდეს დასახულ მიზნებს.<br>ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს. |

| | |
|---|---|
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | კათედრის მიერ შედგენილი კურიკულუმები მოიცავს ყველა აუცილებელ კომპონენტს. შედგენილია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის და საგნობრივი სტანდარტების მიხედვით. ჩანს რომ თვითოეული თემის ფარგლებში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება. ასევე ჩანს თემის ფარგლებში შესასწავლი საკითხები, კონტექსტმაგალითები და რესურსები ( გრფირებული სახელმძღვანელოები, ელექტრონული ლინკები). ნათლად არის გამოკვეთილი შემოქმედებითი დავალების მიზანი და პროდუქტი.<br><br>რჩევა: კარგი იქნება თუ მომავალში გაითვალისწინებენ და გამოყოფენ შემოქმედებითი ბუნების დავალება რომელ საკითხთან მიმართებაში ხორციელდება, რომელ სამიზნე ცნებებს და ქვეცნებებს ფარავს. ასევე საკითხების კლასტერს თუ გააკეთებთ სამიზნე ცნებების მიხედვით. |
| უცხოური ენები | უცხო ენის მასწავლებლები ხელმძღვანელობენ უცხო ენის სტანდარტით. კურიკულუმში გაწერილი დავალებები ეფუძნება სამიზნე ცნებებს, ქვეცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებს. დავალებები ითვალისწინებს პრდუქტის წარდგენას ამათუ იმ სამეტყველო ქმედებებში და იძლევა ენობრივი , გრამატიკული მასალის ფუნქციურად გამოყენების შესაძლებლობებს, |
| ესთეტიკური აღზრდა | სკოლის მიერ დამუშავებული კურიკულუმი სამივე საფეხურზე, მიემართება ეროვნული სასწავლო მიზნებისაკენ. თითოეული სავალდებულო თემის ფარგლებში დაკონკრეტებულია სამიზნე ცნებები, შემოქმედებითი დავალებების სახით განსაზღვრულია შუალედური მიზნები, რომლებიც ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. |
| სახელმწიფო ენა | სახელმწიფო ენის კურიკულუმი ითვალისწინებს საგნობრივ მოთხოვნებს და მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზანს. კურიკულუმის ჩარჩოში გაწერილია თემები, სამიზნე ცნებები-გრძელვადიანი მიზნები, საკითხები,შემოქმედებითი დავალებები.<br>გასაუბრებისას გამოიკვათა , რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, იცნობენ და იყენებენ საგნობრივ სტანდარტს კურიკულუმების შემუშავებისას .<br>გვექნება რამდენიმე რჩევა: კურიკულუმის ჩარჩოშიც ყველა თემისთვის განისაზღვროს დასამუშავებელი ცნებები , ქვეცნებები და საკითხები;<br>ასევე ასევე, მერვე კლასის ისგ-ში არის ცდომილებები და სასურველია, კათედრამ გაითვალისწინოს სამომავლოდ, მაგალითად, არასწორად წერია სამიზნე ცნებები,საბაზო საფეხხურზე არ გვაქვს ცნება ზეპირმეტყველება, წერა..კათედრის წევრებმა ისარგებლონ ეროვნული სასწავლო გეგმით და შეავსონ შესაბამისად.<br>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია |
| მათემატიკა | კურიკულუმების თემატიკა და ტერმინოლოგია შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებს, თავად კურიკულუმში ნაკლებად ჩანს მიზნის, აქტივობის და შედეგის შორის კავშირი აქტივობების სიმცირის გამო. მიუხედავად ამისა, გასაუბრებისას პედაგოგებმა კარგად განმარტეს, თუ როგორ უწყობს ხელს დაგეგმილი თემები და საკითხები ეროვნული მიზნების მიღწევას. თავადაც აღნიშნეს, რომ აქტივობების მრავალფეროვნება უფრო მეტად საინტერესოს გახდის სწავლების პროცესს და დაადასტურეს მზადყოფნა ამ კუთხით კურიკულუმების გაუმჯობესებისთვის. |

| | |
|---|---|
| | რჩევა: რეკომენდებულია სამივე საფეხურის კურიკულუმში დავალებების გამრავალფეროვნება, რათა გაძლიერდეს მიზნის, აქტივობისა და სასწავლო შედეგის პირდაპირი კავშირი და სწავლება გახდეს მოსწავლისთვის მეტად მოტივაციური და კონტექსტზე დაფუძნებული. |
| სპორტი | სამივე საფეხურზე - კურიკულუმები ითვალისწინებს საგნობრივ მოთხოვნებს და მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რადგან კურიკულუმის ჩარჩო-ცხრილებში სრულყოფილად იყო შევსებული ესგ-ის სტანდარტით განსაზღვრული საგნის სამიზნე ცნებები, ასევე თემატური მატრიცებისა და საგნობრივი/სასკოლო პროექტების არსებობა მიანიშნებს, რომ სკოლა აქვს  გამოცდილებაზე დაფუძნებული სასწავლო პროცესი.<br>ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს |
| ტექნოლოგიები | კურიკულუმები ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმას და მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებსაკენ . სადაც ჩანს ცოდნათა სამ კატეგორიაზე გათვლილი დავალებები |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | დაწყებითი საფეხურის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, ორიენტირებულია მოსწავლეზე. განსაზღვრული აქტივობები საშუალებას იძლევა მოსწავლემ საკუთარ გამოცდილებაზე ააგოს ახალი ცოდნა და უნარები. |

3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით  გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სკოლის სამივე საფეხურის კურიკულუმით განსაზღვრულია  სასწავლო მასალის ჩამონათვალი, მათ შორის გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები და სხვა სასწავლო რესურსები. სკოლას აქვს სათანადო რესურსებით აღჭურვილი  საბუნებისმეტყველო ლაბორატორია. კურიკულუმის  ჩარჩოებში წარმოდგენილია განსახორციელებელი კომპლექსური დავალებების რესურსები, მათ შორის ელექტრონული. რაც ხელს უწყობს სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტების შეტანას, მოტივაციის ამღლებას და ახალი საკითხების ათვისებას. თუ საკითხის შესასწავლად არ არის კომპლექსური დავალება, მაშინ რესურსების შესაბამის გრაფაში მხოლოდ სახელმძღვანელოა მითითებული. კათედრის მიერ მოწოდებული მასალები და მასწავლებლებთან გასაუბრება აჩვენებს, რომ სკოლას აქვს რესურსები, რომლებიც უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.<br>რჩევა- ვინაიდან კურიკულუმის ჩარჩოებში მოცემულია მხოლოდ კომპლექსური დავალებები, ზოგიერთი საკითხის დამუშავების გზა ცარიელია. შესაბამისად როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნე |

| | |
|---|---|
| | დაამატონ შემოქმედებითი დავალებები, რაც რესურსებით უფრო მრავალფეროვანს გახდის კურიკულუმის ჩარჩოს და ხელს შეუწყობს სწავლის შედეგების მიღწევას. კურიკულუმის ჩარჩოებშიც ცხრილის თავში მიეთითოს გამოყენებული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო. პერიოდულად გადაამოწმონ მითითებული ელ. რესურსების მისამართები, რადგან ზოგიერთი არ გაიხსნა. მე-12 კლასის ფიზიკის კურიკულუმის ჩარჩოში რესურსების გრაფაში დაამატონ გამოსაყენებელი რესურსები. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს. |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის ყველა საგნის კურიკულუმში არის მითითებული გრიფირებულ სახელმძღვანელოებთან ერთად, მრავალფეროვანი ელექტრონული რესურსი, მომელიც შესაბამისობაშია საგნის სტანდართან, თემასთან, საკითხთან, მოსწავლეთა ინტერესებთან. ზრდის სწავლების მოტივაციას და ხელს უწყობს მიზნის მიღწევას. |
| უცხოური ენები | უცხო ენის ყველა კლასის კურიკულუმში არსებობს მრავალი ციფრული რესურსი, რომელიც სრულიად შეესაბამება თემას და მოსწავლეთა ინტერესებს, რაც ზრდის მათ მოტივაციას და შედეგების მიღწევის შესაძლებლობებს. |
| ესთეტიკური აღზრდა | ესთეტიკური აღზრდის საგნებში კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პედაგოგები იყენებენ სხვადასხვა რესურსებს, მათ შორის ონლაინ რესურსებს, ვიდეო და აუდიო მასალას, რაც უფრო საინტერესოს და ნაყოფიერს ხდის სასწავლო პროცესს. |
| სახელმწიფო ენა | კურიკულუმში იკითხება მრავალფეროვანი და საჭირო რესურსები, რომლებიც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას და ზრდის მოსწავლეთა მოტივაციას.<br>რჩევა ,კურიკულომის ჩარჩოშიც ყველა კლასისთვის მიეთითოს ძირითადი სახელმძღვანელო.<br>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია |
| მათემატიკა | კურიკულუმებში ასახულია სასწავლო რესურსების გამოყენების ზოგადი ხედვა და სურვილი, რომ ისინი დაეხმაროს მოსწავლეს სასწავლო შედეგების მიღწევაში, თუმცა რესურსები ხშირად ჩამოთვლილია ზედმეტად ზოგადად და სტანდარტულად, მაგალითად: სახელმძღვანელო, ტელესკოლა, ხანის აკადემია. საბაზო საფეხურზე მითითებულია მხოლოდ URL მისამართი კონკრეტული ვიდეო/გაკვეთილის დასახელების გარეშე, რაც ართულებს რესურსის ეფექტურ გამოყენებას. ასევე VII კლასის კურიკულუმში მითითებული არცერთი რესურსის ლინკი არ იხსნება, II კლასის კურიკულუმში მისათითებელია სახელმძღვანელო, რაც კიდევ უფრო ზღუდავს მასწავლებლის შესაძლებლობას ეფექტურად გამოიყენოს ეს მასალა.<br>რჩევა: სასურველია რესურსების მითითების ერთიანი სტილის ჩამოყალიბება სამივე საფეხურზე და მათი დაკონკრეტება თემა-საკითხის მიხედვით (მაგ. გრიფირებული სახელმძღვანელოს ავტორი, ხანის აკადემიის ვიდეო: URL მისამართი; თემა – სამკუთხედების მსგავსება და ა.შ.). |
| სპორტი | სამივე საფეხურზე - სკოლის კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას. სკოლას კათედრული მუშაობის შედეგად, იმგვარად აქვს გააზრებული და შერჩეული რესურსები სკოლის რეალური შესაძლებლობებიდან გამომდინარე, რომ მოსწავლეს ეძლევა სრულყოფილი საშუალება გააცნობიეროს სასწავლო მიზნები და მიაღწიოს იმ შედეგებს, რომლებიც განსაზღვრული და წარმოდგენილია სკოლის დოკუმენტებით. |

| | |
|---|---|
| | ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს |
| ტექნოლოგიები | კურიკულუმში წარმოდგენილია ის ძირითადი რესურსები რომლების საშუალებას მისცემს მასწავლებელს სასწავლო პროცესი გახადოს მოსწავლეზე ორიენტირებული და მათი უფრო მეტი ჩართულობა უზრუნველყონ.<br>კურიკულუმებში მოცემულია როგორც ძირითადი ასევე დამხმარე რესურსები. |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილია, როგორც ძირითადი რესურსები (გრიფირებული სახელმძღვანელოები), ასევე მრავალფეროვანი ელექტრონული თუ ბეჭდური რესურსი, რომლებიც სრულად ემსახურება სწავლის შედეგების მიღწევას. |

4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სამივე საფეხურის კურიკულუმების ჩარჩოებში წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებში და სახელმძღვანელოში მითითებულ მასალებში წარმოდგენილი მრავალფეროვანი და მოსწავლეზე მორგებული სასწავლო პროგრამის შინაარსი, სასწავლო რესურსები, მაგალითები შედარებისთვის და ასევე არაფორმალური განათლების ფრაგლებში განხორციელებული აქტივობები და პროექტები ხელს უწყობენ მოსწავლის ჩართულობას ცოდნის კონსტრუირებისას და დიფერენცირებული სწავლების მიდგომას. ეს აჩვენებს, რომ სასწავლო გარემო განიხილება მოსწავლის მხარდამჭერ სივრცედ, სადაც გათვალიწინებული იქნება მისი შესაძლებლობები და საჭიროებები. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ დავალებების შესრულებისას მოსწავლეს საშუალება ექნებათ, რომ თავად აირჩიოს სასურველი პროდუქტი, რომელსაც შექმნის თავისი ინტერესის და შესაძლებლობის შესაბამისად. გაკვეთილებზე გამოყენებული სხვადსხვა ტიპის აქტივობები კი ხელს უწყობს ამ პროცესს. გათვალისწინებული აქტივობები საშუალებას იძლევა თითოეულმა მოსწავლემ იკვლიოს და ისწავლოს, ხოლო მრავალფეროვანი სასწავლო მეთოდები ითვალისწინებს მოსწავლის სწავლის მზაობას და ინტერესებს. დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომას ასევე აჩვენებს სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი ინკლუზიური განათლების პრინციპები და სსსმ მოსწავლეების ინდივიდუალური სასწ. გეგმების ნიმუში. სკოლამ წარმოადგინა ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა, ინდივიდუალური სამუშაო გეგმები და ამ მიმართულებით პედაგოგებს აქვთ დიდი გამოცდილება. სკოლას ჰყავს სპეცმასწავლებელი. სკოლაში არსებული ინკლუზიური განათლების მონიტორინგის ჯგუფი ახორციელებს ინკლუზიური განათლების პროცესის შეფასებასა და თვითშეფასებას. აღწერილი მდგომარეობა აჩვენებს, რომ სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომების შესაბამისად.<br>ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს. |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | სკოლა, სასწავლო პროცესში ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს , თვითეული მოსწავლის საჭიროებებს, უნარებს და შესაძლებლობებს. კათედრაზე შემუშავებული |

| | |
|---|---|
| | საგნობრივი კურიკულუმი მორგებულია დიფერენცირებული სწავლების მიდგომებზე. მასწავლებლების მიერ გეგმაში გაწერილია სხვადასხვა ბავშვის შესაძლებლობისა და საჭიროების მოთხოვნების შესაბამისი მატრიცები. სამივე საფეხურზე სკოლას, სსსმ მოსწავლეებისათვის შედგენილი აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები , სადაც გამარტივებული და ადვილად მისაღწევი მოკლევადიანი,შუალედური და გრძელვადიანი მიზნებია გაწერილი. |
| უცხოური ენები | უცხო ენის საგაკვეთილო პროცესი ინკლუზიური და დიფერენცირებულია. სკოლას ჰყავს სსსმ მოსწავლეები და შედგენილია ყველგან ი.ს.გ გეგმები იმ კლასში, სადაც ასეთი მოსწავლეა კურიკულუმს მოსდევს ი.ს.გ. გეგმა, აქ აქტივობები შეძლებისდაგვარად მიმდინარე თემასთან შესაბამისია |
| ესთეტიკური აღზრდა | სკოლა უზრუნველყოფს ინკლუზიურ სასწავლო პროცესს. მასწავლებლები იყენებენ დიფერენვირებულ მიდგომებს, როგორც სსსმ მოსწავლეებთან ასევე ტიპიური განვითარების, სხვადასხვა მზაობის მქონე მოსწავლეებთან.<br>რჩევა:სასურველია მუსიკასა და ხელოვნებაში ინდ. გეგმები იმდაგვარად იყოს გაწერილი, რომ ორიენტირებული იყოს სასწავლო თემებსა და ცნებებთან მიმართებაში. |
| სახელმწიფო ენა | კურიკულუმში წარმოდგენილი მრავალფეროვანი დავალებები,ისგ და მასწავლებელთან ინტერვიუ იძლევა საფუძველს აღვნიშნოთ ,რომ სკოლა ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ საჭიროებიდან გამომდინარე ახდენენ დავალების მოდიფიცირებას.წარმოადგინეს ადაპტირებული დავალების რამდენიმე ნიმუშიც.<br>**ჩვენი რჩევა იქნება**:შუალედურ მიზნებზე მუშაობის დროს გაითვალისწინონ, რომ მისცენ მოსწავლეებს არჩევანის შესაძლებლობა, მათი შესაძლებლობების, ინტერესების გათვალისწინება ხელს შეუწყობს მათ პროგრესს. |
| მათემატიკა | ზოგიერთი კლასის კურიკულუმში (მაგალითად, I კლასში, რესურსების ველში ჩამოთვლილი რესურსები) ჩანს მცდელობა დიფერენცირებული სავარჯიშოების გამოყენების, რაც სწავლების ინდივიდუალურ მოთხოვნებზე მორგებას უწყობს ხელს. კურიკულუმებთან ერთად გამოგზავნილია რამდენიმე ინდივიდუალური სასწავლო გეგმაც.<br>**რჩევა:** სასურველია ყველა კლასის კურიკულუმში ან თანმხლებ დოკუენტებში გაიწეროს კონკრეტული მაგალითები დიფერენცირებული სწავლების - სირთულის დონის, თემის მიწოდების ფორმის ან დროის მართვის მიხედვით. |
| სპორტი | სამივე საფეხურზე - ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩოში ჩანს დავალებების კომპლექსური ბუნება, რომელიც მოსწავლეებს მისცემს შესაძლებლობას გამოხატონ საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება, მრავალი და მისთვის ეფექტური საშუალებით, რადგან სკოლას აქვს კომპლექსური ბუნების დავალებებზე მათ შორის სსსმ მოსწავლეებისათვის მოდიფიცირებული დავალებებით მუშაობის გამოცდილება. გარდა ამისა, სკოლას აგრეთვე ამ მიზნით განსაზღვრული აქვთ სათანადო აქტივობები და რესურსები.<br>**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს** |
| ტექნოლოგიები | კურიკულუმში კომპლექსური დავალების ფარგლებში წარმოდგენილია მრავალფეროვანი რესურსები და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის |

| | |
|---|---|
| | მოქნილობასა და თითოეული მოსწავლის ინიდივიდუალური საჭიროებების, შესაძლებლობებისა და სწავლის პოტენციალის გათვალისწინებას.<br>წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომებს. |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | დაწყებითი საფეხურის კათედრის პედაგოგებთან ინტერვიუში გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს ინკლუზიურ და დიფერენცირებულ მიდგომებს. |

5. **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**

| | |
|---|---|
